საბა

№6
ივნისი
2010

საქართველოს კათოლიკეთა ყოველთვიური მაცნე

გულო იესოსაო, ტაძარო წმიდისა სამებისაო, შემიწყალენ ჩვენ!

ადგილი, სადაც ადამიანებს შეუძლიათ ისე იგრძნონ თავი, როგორც საკუთარ სახლში

ა.წ. 7 მაისს, საქართველოს პრეზიდენტი მიხეილ სააკაშვილი ვატიკანში შეხვდა რომის პაპს, ბენედიქტე XVI-ს; ეს გახლდათ არაოფიციალური ვიზიტი ორ სახელმწიფო მეთაურს შორის. ამ შეხვედრამ მათ საშუალება მისცა, „შეხებოდნენ მნიშვნელოვან საკითხებს საქართველოს ცხოვრებაში, ორივე მხარემ განაახლა მოვალეობა კულტურულ გაცვლებზე. განსაკუთრებით აღინიშნა ის დადებითი წვლილი, რასაც ჰუმანიტარული კუთხით აკეთებს „კარიტასი“, საქართველოს მთელი მოსახლეობის სასიკეთოდ და სხვადასხვა რელიგიის მორწმუნეთა შორის მშვიდობიანი თანაცხოვრებისათვის. რაც შეეხება რელიგიურ ვითარებას, გამოითქვა სურვილი, რომ ყველა სირთულე დიალოგისა და ურთიერთშეთანხმების გზით უნდა გადაწყდეს დაინტერესებულ მხარეებს შორის“, – ასე წერდა ვატიკანის ოფიციალური პრესა ამ უახლესი ვიზიტის შესახებ.

ალბათ, მრავალი იკითხავს, თუ რატომ აკისრია რომის პაპს სახელმწიფოს მეთაურის როლი. ეს ერთობ დელიკატური თემა დაკავშირებულია სახელმწიფოს ტრანსნაციონალურ სტრუქტურასთან. ასევე, მნიშვნელოვანია ის ფაქტი, რომ მის სათავეში დგას ადამიანი, რომლის არჩევაც საყოველთაო კონკლავით ხდება; კათოლიკე ეკლესია არის მსოფლიოში ერთადერთი კონფესიონალური ინსტიტუცია. პონტიფექსის დიპლომატიის მეშვეობით, შეგვიძლია, დავფიქრდეთ სუვერენიტეტის მნიშვნელობაზე, მის მორალურ და კულტურულ მხარეებზე, რაც ყველა ხალხისა და ერის უფლებაა. არსებობს „ერების უფლებები“, რაც ემყარება ხალხთა ჰომოგენურ კულტურას, „კაცობრიობის ოჯახის უფლებები“, – რამდენადაც კაცობრიობა არ ცნობს საზღვრებს, და „სახელმწიფოთა უფლებები“, – მათი მთლიანობა და სუვერენიტეტი. ეკლესია აცხადებს, რომ საერთაშორისო ორგანიზაციები დიალოგის გზით უნდა ცდილობდნენ ადეკვატური პასუხების გაცემას ხალხთა თანაცხოვრებისა და მისი სხვადასხვა უფლებების შესახებ. წმიდა საყდარი ყოველმხრივ ცდილობს, ურთიერთნდობაზე დამყარებული კლიმატი შექმნას საერთაშორისო სარბიელზე მოღვაწე პირთა შორის, რაც ხელს შეუწყობს ახალი ფილოსოფიის შემოტანას საერთაშორისო ურთიერთობებში, პერსპექტივაში შესაძლებელი გახდება სამხედრო სივრცის შემცირება, შეიძლება გზა გაეხსნას მშვიდობიან განიარაღებას, კულტურათა და რელიგიურ ტრადიციათა პატივისცემას, გაჭირვებული ქვეყნების მიმართ სოლიდარობას, მათ დახმარებას, რათა ისინი თავად გახდნენ თავიანთი სვე-ბედის მჭედელნი. ეკლესიის საქმიანობის მიზანი სულაც არ გახლავთ დიალოგში მყოფებთან ჭიდილი, არამედ რეალური დახმარება მათი ზრდა-განვითარებისათვის. საერთაშორისო ფორუმებზე წმიდა საყდარი თავდაუზოგავად იცავს ადამიანის ღირსებას, იბრძვის მშვიდობისა და კაცობრიობის საერთო სიკეთისათვის: სწორედ ეს არის მისი, როგორც საერთაშორისო სტატუსის მქონე ქვეყნის, ერთ-ერთი დანიშნულება. გაეროში წმიდა საყდარი წარმოდგენილია არა როგორც პოლიტიკური ხედვით აღჭურვილი ძალაუფლება, არამედ მორალური ავტორიტეტი, იურიდიულად – ერთ-ერთი „დამკვირვებელი“, რომელსაც შეგნებული აქვს, რომ მხოლოდ სიტყვის უფლებას

ფლობს. ვატიკანის დიპლომატია თვლის, რომ გაეროში ყველა ერი თანასწორია, აქ არ არსებობს არც პატარა და არც დიდი ერი. მათ უფლება აქვთ, რომ დაიცვან და გადაარჩინონ საკუთარი დამოუკიდებლობა და კულტურული თვითმყოფადობა. ეკლესია მოვალეა, რომ შესაფერისი ფორმაცია გაატაროს საზოგადოების განვითარებისთვის, დაწყებული გონების განწმენდიდან და ეთიკური აღზრდიდან, რათა პოლიტიკის მიზანი იყოს სამართლიანი საზოგადოების შექმნა. სწორედ სამართლიანობა არის პოლიტიკისა და რწმენის შეხვედრის ძირითადი პუნქტი. ამ მხრივ, წმიდა საყდარი პიონერი გახლავთ, მან თავის დიპლომატიაში მიზნად დაისახა, დიალოგის გზების მოძებნა ყველა პოლიტიკურ ხელისუფლებასთან, ჯერ კიდევ რომის იმპერიის ხანიდან; აღორძინების ხანიდან, იგი იყენებდა საკუთარ მეთოდს სახელმწიფოთა შორის დიპლომატიური ურთიერთობის დასამყარებლად. ურთიერთობათა ეს ტიპი განსაკუთრებით საინტერესო აღმოჩნდა თანამედროვე ეპოქაში და ამის ნათელი მაგალითებია პაპების უამრავი ვიზიტები, სამოძღვრო ტექსტები, რომლებიც მშვიდობას ქადაგებენ ერებსა და ქვეყნებს შორის. ასევე, საყურადღებოა უკანასკნელ საუკუნეებში პონტიფექსის წარმომადგენელთა რიცხვის ზრდა მსოფლიოს სხვადასხვა ქვეყნებში. XX ს-ს დასაწყისში, 1902 წ., თხუთმეტამდე ქვეყანა აღირიცხებოდა, ვინც კავშირი დაამყარა წმიდა საყდართან, შემდეგში ეს რიცხვი 107-მდე გაიზარდა, ხოლო დღეს მათი რიცხვი 177-ია. ამას უნდა დაემატოს მალტის ორდენი, განსაკუთრებული მისია რუსეთის ფედერაციულ რესპუბლიკაში და პალესტინის განთავისუფლების ორგანიზაციაში. ეკლესიას, რომელიც თავის სამწყსო და რელიგიური მისიის ფარგლებს არ სცილდება, ძალუძს, ყველა კუთხიდან მიიზიდოს მსმენელი და განსკუთრებული ძალით იმოქმედოს კაცთა გონებაზე, რამდენადაც ის ქრისტეს ჭეშმარიტების მაუწყებელია და არა ოდენ აღმზრდელობითი კერა; მას ძალუძს, დაიცვას პიროვნების ღირსება და დააფასოს მისი შრომა, დანერგოს ისეთი კულტურა, რომელიც ჭეშმარიტ პასუხს გასცემს ადამიანთა ყველა კითხვას.

მამა
გაბრიელე ბრაგანტინი

11-14 მაისი. სამოციქულო ვიზიტი პორტუგალიაში

„მე მოვედი ფატიმის ღმრთისმშობელთან, როგორც მომლოცველი. იგი მოგვევლინა ამ მიწაზე, რათა შეეხსენებინა ჩვენთვის სახარების ჭეშმარიტება – ახალი იმედი კაცობრიობისა, რომელსაც გაუნელდა სიყვარული და სასოება. სწორედ პორტუგალიის თავზე გაიხსნა ზეცა, როგორც იმედის სარკმელი, რომელსაც ღმერთი უხსნის ადამიანს, რათა გაამყაროს ერთი მამის რწმენაზე დაფუძნებული ძმური თანადგომა. საუბარია ღმრთის სიყვარულის განგებულებაზე, და ეს განგებულება არ არის დამოკიდებული არც ერთ პაპზე, არავითარ საეკლესიო ძალაუფლებაზე“, – აღნიშნა უწმიდესმა პაპმა ვიზიტის დასაწყისში, თავის მისასალმებელ სიტყვაში, ლისაბონის აეროპორტში.



აეროპორტში უწმიდეს პაპს შეხვდნენ: წმიდა საყდრის სამოციქულო დესპანი პორტუგალიაში, ქვეყნის პრეზიდენტი ანიბალ სილვა და ლისაბონის პატრიარქი, კარდინალი ჟოზე და კრუზ პოლიკარპო.

იმავე დღეს ბენედიქტე XVI-მ წმიდა იერონიმეს მონასტერი მოილოცა, რის შემდეგაც პრეზიდენტის რეზიდენციაში გაემართა. საღამოს ტორეირო-დო-პასოზე უწმიდესმა პაპმა წირვა აღავლინა.

12 მაისს, ვიზიტის მეორე დღეს, უწმიდესი პაპი ლისაბონის კულტურულ ცენტრ „ბელემში“ ქვეყნის კულტურისა და ხელოვნების მოღვაწეებს შეხვდა. თავის სიტყვაში პაპმა ხაზი გაუსვა იმას, რომ დღეს კულტურის სფეროში შეიმჩნევა ერთგვარი კონფლიქტი თანამედროვეობასა და ტრადიციას შორის. „თქვენ, კულტურის მოღვაწეებს, აზრთა და თვალსაზრისთა შემოქმედებს, თქვენი ნიჭის წყალობით, შეგიძლიათ, ესაუბროთ ადამიანთა გულებს, შეეხოთ მათ გრძნობებს, გაიღვიძოთ ოცნებები და იმედები. ნუ დაივიწყებთ სილამაზის პირველწყაროს, ნუ შეუშინდებით დიალოგს მორწმუნეებთან – მათთან, ვინც თქვენსავით მოგზაურად გრძნობს თავს დედამიწაზე და ისტორიაში, უსასრულო სილამაზისკენ მიმავალ გზაზე“.

13 მაისის დილას, სწორედ იმ დღეს, როდესაც 1917 წელს ღმრთისმშობელი პირველად გამოეცხადა სამ ფატიმელ ყმაწვილ მწყემსს, უწმიდესმა პაპმა გამოცხადების სამლოცველოში წირვა აღავლინა, შემდეგ კი მწყემსთა საფლავები მოინახულა. გვიან საღამოს, ჩირაღდნებისა და სანთლების შუქზე, გამოცხადების სამლოცველოსთან შეკრებილმა მორწმუნეებმა პაპთან ერთად აღავლინეს სავარდის ლოცვა. თავის ქადაგებაში, ლოცვის შემდეგ, ბენედიქტე XVI-მ ხაზი გაუსვა იმას, რომ ღმრთისმშობლის გამოცხადება და ყველა სასწაული, რომელსაც ღმერთი გვჩუქნის, სწორედ ჩვენი მხსნელის რწმენის შუქზე უნდა იყოს დანახული: „თქვენ ხელში ანთებული სანთლები გიჭირავთ და, ასე ერთად შეკრებილნი, თითქოს ნათლის ზღვა ხართ, ამ სამლოცველოს ირგვლივ გაღვრილი; გზა, რომლითაც ღმრთისმშობელი მიწაზე ჩამოვიდა, მწყემსებს ნათლის სვეტად ეჩვენა. მაგრამ მარიამიც და ჩვენც საკუთარი ნათლით კი არ ვხარობთ, არამედ იესოსგან ვიღებთ მას. ჩვენში მისი მყოფობა განაახლებს საიდუმლოს და მოგონებას დაუწველი მაყვლოვანისა, რომელმაც ოდესღაც სინას მთაზე მიიზიდა მოსე და ყოველთვის აღაფრთოვანებდა მათ, ვინც ამ ცეცხლს გრძნობდა, – რომელიც ანთია ჩვენში და არ გვწვავს. მის გარეშე ჩვენ მხოლოდ უბადრუკი ბუჩქები ვართ. მაგრამ ამ ბუჩქებზე ღმრთის დიდება გადმოიღვარა. მართლაც, მისი არს დიდება, ჩვენ კი საკუთარი უსუსურობის აღიარება და მისი განგებულების მიღება გვმართებს. ღმრთის განგებულების უბადლო მსახურია მიმადლებული ქალწული მარიამი: „აჰა, უფლის მხევალი ვარ. მეყოს მე შენი სიტყვისამებრ“.

14 მაისს ბენედიქტე XVI ქალაქ პორტუს ეწვია, სადაც ქალაქის მოედანზე წირვა აღავლინა. აეროპორტში გამართული გამოსამშვიდობებელი ცერემონიის შემდეგ, უწმიდესი პაპი რომში დაბრუნდა.

საქართველოს პრეზიდენტის ვიზიტი ვატიკანში

7 მაისს ვატიკანში გაიმართა მიხეილ სააკაშვილისა და ბენედიქტე XVI-ის შეხვედრა. „ჩვენ მოხარულნი ვართ, რომ ეს ურთიერთობები ახალ ეტაპზე გადავიდა. საქართველოს პრეზიდენტს საშუალება ჰქონდა, უწმიდესისა და უნეტარესის ილია მეორის მოკითხვა გადაეცა რომის პაპისათვის და, ასევე, განეხილა სხვა მნიშვნელოვანი საკითხები. საკმაოდ ხანგრძლივი და ეფექტური შეხვედრა იყო. სასიხარულოა ის ფაქტი, რომ რომის პაპი ძალიან კარგად არის ინფორმირებული საქართველოში მიმდინარე მოვლენების თაობაზე. თქვენ იცით, რომ ეს არის პიროვნება, რომელიც გამოირჩევა თავისი ინტერესით და გავლენით ადამიანის უფლებების დაცვის სფეროში. ჩვენ შესაძლებლობა მოგვეცა, რომ დამატებითი ინფორმაცია მიგვეწოდებინა მისთვის ამ კუთხით. მოგეხსენებათ, რომ რომის პაპს უდიდესი გავლენა აქვს მსოფლიოში კათოლიკურ სამყაროზე და მნიშვნელოვანია, რომ იგი სწორ და ამომწურავ ინფორმაციას ფლობდეს საქართველოში არსებულ ვითარებაზე. როგორც მოგეხსენებათ, მან აგვისტოს ომის პერიოდში სამი მნიშვნელოვანი განცხადება გააკეთა და თავისი მხარდაჭერა გამოხატა ჩვენი ქვეყნის მიმართ“, – აღნიშნა საქართველოს საგარეო საქმეთა მინისტრის მოადგილემ, ნინო კალანდაძემ 10 მაისს გამართულ ბრიფინგზე.

წმიდა საყდრის პრეს-ცენტრის ცნობით, საქართველოს პრეზიდენტისა და პონტიფექსის შეხვედრა სამოციქულო სასახლის ბიბლიოთეკაში გაიმართა და 35 წუთს გაგრძელდა. პონტიფექსთან საუბრის შემდეგ, მიხეილ სააკაშვილი შეხვდა ვატიკანის სახელმწიფო მდივანს, ტარჩიზიო ბერტონეს და წმიდა საყდრის საგარეო ურთიერთობათა მდივანს, დომინიკ მამბერტის.

მართლმადიდებლები და კათოლიკეები გულმოწყალების ერთობლივი მსახურების გზაზე

4 მაისს, რომში გაიმართა კონფერენცია სახელწოდებით „ღარიბები – ეკლესიის უძვირფასესი განძი. მართლმადიდებლები და კათოლიკეები გულმოწყალების ერთობლივი მსახურების გზაზე“. კონფერენციის ორგანიზატორია წმიდა ეგიდიუსის საზოგადოება. მონაწილეებმა განიხილეს საზოგადოების განსაკუთრებით ღარიბი ფენების პრობლემები და ის სირთულეები, რომელთა წინაშეც ისინი მიმდინარე ეკონომიკური კრიზისის პირობებში აღმოჩნდნენ.

როგორც აღნიშნა მართლმადიდებელი დელეგაციის მეთაურმა, მინსკისა და სლუცკის მიტროპოლიტმა ფილარეტმა, „მოვიდა დრო, როდესაც მართლმადიდებლებმა და კათოლიკეებმა მტკიცე ნაბიჯები უნდა გადადგან სრული ერთობისაკენ; ორივე ეკლესიას სურს ერთობა. ამას ეს შეხვედრაც მოწმობს – ძმობის ატმოსფერო და აზრთა თანხვედრა სხვადასხვა საკითხებში“.

პაპის ვიზიტისადმი მიძღვნილი მარკების სერია

10 მაისს, ბენედიქტე XVI-ის ვიზიტის დამდეგს, პორტუგალიის საფოსტო სამმართველომ მიმოქცევაში გაუშვა პონტიფექსის სტუმრობისადმი მიძღვნილი მარკების სერია. სერია შედგება სამი მარკისაგან, იმ სამი პაპის გამოსახულებით, რომლებიც პორტუგალიას სტუმრობდნენ: პავლე VI (1967 წელს), იოანე პავლე II (1982 წელს) და ბენედიქტე XVI (2010 წელს).



ქრისტიანები ახლო აღმოსავლეთში

5 მაისს, მოსულის შემოგარენში, ნაღმის აფეთქების შედეგად, დაიღუპა ოთხი და დაშავდა ასზე მეტი ადამიანი. ტერორისტთა სამიზნე ამჯერად გახდა ავტობუსების კოლონა, რომლითაც ქრისტიანი სტუდენტები უნივერსიტეტისკენ მიემართებოდნენ. მოსულის მთავარეპისკოპოსი ემილ შიმუნი აღნიშნავს, რომ მარტის არჩევნების შემდეგ, მდგომარეობა გაუარესდა, ქალაქის ადმინისტრაცია თითქმის უმოქმედოა და ქრისტიანებს აღარავინ იცავს. ხელისუფალთა უძლურებაზე ბაღდადის ეპისკოპოსი შლემონ ვარდუნიც საუბრობს. ავტობუსების კოლონას პოლიცია მიუძღოდა, თუმცა ამან ტერორისტებს ხელი ვერ შეუშალა. „ხელისუფლების წარმომადგენელთაგან არავის გამოუთქვამს ჩვენთვის

სამძიმარი და ეს კიდევ უფრო ამძაფრებს ჩვენს ტკივილს“, – აღნიშნავს ეპისკოპოსი.

შედარებით მშვიდობიანი და „პროდასავლური“ ქუვეითის კათოლიკეები კი დიდ იმედს სახელმწიფოს მეთაურის ვატიკანში ვიზიტზე ამყარებდნენ. ქუვეითის ქრისტიანებს ახალი ტაძრების მშენებლობა ეკრძალებათ, ასევე ეკრძალებათ ლოცვა ტაძრის კედლებს მიღმა. ამჟამად ქვეყანაში მხოლოდ ოთხი სამრევლოა, რომელთაგან თითოეული 100 000-ზე მეტ მორწმუნეს ითვლის. „ჩვენ პრივილეგიებს არ ვითხოვთ, არც კანონმდებლობის შეცვლას, და არც განსაკუთრებულ შეთანხმებებს. ჩვენ ხელისუფლებას ვთხოვთ მხოლოდ ადგილის გამოყოფას, სადაც ლოცვას შევძლებთ“, – აღნიშნა ქუვეითის კათოლიკეთა სამოციქულო ვიკარიუსმა, ეპისკოპოსმა კამილო ბალინმა.

ჰავანის მთავარეპისკოპოსი პოლიტპატიმართა დასაცავად

2 მაისს, ჰავანის მთავარეპისკოპოსმა ჰაიმე ორტეგამ პოლიტპატიმართა დასაცავად გამართულ საპროტესტო აქციაში მიიღო მონაწილეობა. მისივე ძალისხმევით, კუბის მთავრობამ გააუქმა აკრძალვა ორგანიზაციის „თეთრადმოსილი ქალები“ საპროტესტო აქციებზე. ამ ორგანიზაციის წევრები სინდისის პატიმართა მეუღლეები და დედები არიან. „თეთრადმოსილი ქალები“-ს წარმომადგენლები დაესწრნენ წირვას ჰავანის წმიდა რიტას სახელობის ტაძარში, ღმრთისმსახურების შემდეგ კი, მთავარეპისკოპოსის თანხლებით, პროტესტის ნიშნად, ქალაქის ერთ-ერთ ქუჩას გაუყვნენ.

„თეთრადმოსილი ქალების“ აქტიური საქმიანობა 2003 წელს დაიწყო, როდესაც თითქმის ერთდროულად სამოცდათხუთმეტი დისიდენტი იქნა დაპატიმრებული. ორგანიზაციის აქციები ამ წლების მანძილზე არ ირბეოდა, თუმცა ბოლო დროს მისი საქმიანობა აიკრძალა.

კუბის ხელისუფლება უარყოფს „თავისუფლების კუნძულზე“ პოლიტპატიმრების არსებობას, „თეთრადმოსილ ქალებს“ და სხვა ოპოზიციურ ორგანიზაციებს კი აშშ-ს დაქირავებულებს უწოდებს.

კათოლიკე მედიკოსების კონგრესი

ამა წლის 6-8 მაისს, ლურდში, ჯანდაცვის საკითხთა პაპის საბჭოს პატრონაჟით, გაიმართა კათოლიკურ სამედიცინო ასოციაციათა საერთაშორისო ფედერაციის XXIII კონგრესი. „შეხვედრისთვის ეს ადგილი შემთხვევით როდია არჩეული. ლურდი გვახსენებს, თუ რა მნიშვნელობა აქვს ჩვენს პროფესიას და ყოველდღიურ ცხოვრებაში კეთილი სამარიტელის იგავს, და სნეულის თანადგომას გვასწავლის“, – აღნიშნა ვატიკანის რადიოსთვის მიცემულ ინტერვიუში კათოლიკე მედიკოსთა წარმომადგენელმა გაეროში, ფრანკო ბალცარეტიმ. ექიმის აზრით, კვალიფიკაციის ამაღლების გარდა, მედიკოსებს სულიერი ამაღლებაც სჭირდებათ.

კონგრესის მონაწილეებმა განიხილეს გარემოს დაცვის პრობლემები, კათოლიკური საქველმოქმედო და სამედიცინო ორგანიზაციების ოპერატიულობის გაზრდის შესაძლებლობები და ისეთი მტკივნეული თემები, როგორიცაა აბორტი და ხელოვნური განაყოფიერება.

მოამზადა
რუსუდან ავალიშვილმა

სააღდგომო საჩუქარი „და“ ეკლესიისაგან

2010 წლის 11 აპრილს, ტელემაუწყებლობა „იმედის“ 20.00 საათიანი „ქრონიკის“ საინფორმაციო გმოშვებაში გავიდა რეპორტაჟი სათაურით: „ქართული ეკლესია რომში“. კერძოდ, გადაიცა, რომ ქართველი მართლმადიდებლები შეიკრიბნენ რომის ერთ-ერთ პატარა ეკლესიაში, სადაც სააღდგომო წირვა აღავლინა მღვდელმა იოანე ხელაიამ (კათალიკოს-პატრიარქის, ამბროსი ხელაიას შვილთაშვილი). მან ინტერვიუში აღნიშნა, რომ ეს ეკლესია კათოლიკეებმა მართლმადიდებლებს გადასცეს, რადგან უფუნქციოაო! ტაძარს ამბროსი ხელაიას სახელზე ვაკურთხებთო!

მართლაც, ეს მოვლენა სასიხარულოა და კიდევ ერთი მაგალითი იმისა, რომ წმიდა კათოლიკე ეკლესია ეხმარება საზღვარგარეთ მყოფ სხვა კონფესიის ადამიანებს რწმენის, ეროვნულობის შენარჩუნებაში. აი, ქრისტესმიერი სიყვარულის საუკეთესო მაგალითი! ალბათ, უკვე დადგა დრო, მას სხვა ეკლესიებმაც მიბაძონ.

საინტერესოა, რას ფიქრობენ საზღვარგარეთ მყოფი ქართველი მართლმადიდებლები იმ ფაქტზე, საქართველოში კათოლიკეებს თავიანთ კუთვნილ ეკლესიებს რომ არ უბრუნებენ, რომ თურმე ეს ეკლესიები საერთოდ არ წარმოადგენს მათ კუთვნილებას, ან ათასგვარ ცილისმწამებლურ ინფორმაციაზე, რასაც კათოლიკეთა შესახებ ავრცელებენ?

ცხადია და უდავო, რომ ევროპის ეკლესიებში მრევლის ემიგრანტ წევრებს გაცილებით დიდი უფლებები გააჩნიათ, ვიდრე კათოლიკე ეკლესიის წევრებს საქართველოში; კათოლიკე მამულიშვილებს კი ლომის წვლილი მიუძღვით როგორც ქრისტიანული რწმენის, ასევე, საქართველოს კულტურულ და ზნეობრივ ფასეულობათა დაცვასა და განმტკიცებაში.

წერილს ვასრულებ ჩვენი უფლის, იესო ქრისტეს სიტყვებით: „ჭეშმარიტად გეუბნებით თქვენ: როგორც არაფერი გაუკეთეთ არც ერთს ამ უმცირესთაგანს, არც მე გამიკეთეთ. და წავლენ ესენი საუკუნო სატანჯველში, ხოლო მართალნი – საუკუნო სიცოცხლეში“ (მათ. 25, 45-46).

შევთხოვოთ მაცხოვარს მხურვალე ლოცვით, რომ ყველა ეკლესია დაუბრუნდეს დედა ეკლესიის წიაღს.

ბათუ დარჩია

წყალი - სასიცოცხლო აუცილებლობა

საქველმოქმედო ფონდ „საქართველოს კარიტასის“ გრძელვადიანი, საკმაოდ დიდი და ძალიან მნიშვნელოვანი პროექტის დასრულება (კერძოდ, „სამცხე-ჯავახეთის რეგიონში სასმელი და სარწყავი წყლის მილსადენების რეკონსტრუქცია-რეაბილიტაცია“)

2009 წელს „საქართველოს კარიტასმა“ დაასრულა შვიდწლიანი პროექტი „წყალგაყვანილობის რეაბილიტაცია სამცხე-ჯავახეთის სოფლებში ადგილობრივ თემთა მობილიზაციის გზით“. პროექტის მიხედვით, გაიჭრა ახალი და შეკეთდა ხუთი რაიონის – ახალციხის, ასპინძის, ახალქალაქის, ნინოწმინდის და ადიგენის – ოცდაორი სოფლის სასმელი და სარწყავი წყლის სისტემა. მთლიანობაში გაყვანილ იქნა 101 960 მეტრი წყლის მილი, დაიდგა და გარემონტდა 600 კუბ. მეტრის საერთო მოცულობის ცხრა წყლის რეზერვუარი.

პროექტი ორ ფაზად განხორციელდა და შედეგად დღესდღეობით სასმელი და სარწყავი წყლით დაახლოებით 8000 ოჯახი სარგებლობს, რომელთაც მიეცათ საშუალება, რომ მორწყან 722 ჰექტარი ფართობის სასოფლო-სამეურნეო მიწა და მოიყვანონ მოსავალი, რომელიც, აქამდე, უწყლობის გამო ვერ მოჰყავდათ. პროექტი მნიშვნელოვანი იყო იმითაც, რომ მოსახლეობა აქტიურად ჩაება მუშაობის მთელ პროცესში, რამაც ხელი შეუწყო როგორც უშუალოდ საქმის წარმატებით შესრულებას, ასევე მოსახლეობის საკუთარ ძალებში დარწმუნებას.

პროექტის ბოლო ფაზა ითვალისწინებდა ადიგენის რაიონის სოფლების: არალისა და წარბასთუმნის სარწყავი წყლის მილსადენისა და სასმელი წყლის განშტოების გაყვანას. ამ პროექტის დონორები გახლდნენ: გერმანული ორგანიზაცია „MISEREOR“-ი, „ესპანეთის კარიტასი“, „საფრანგეთის კარიტასი“, ამერიკის შეერთებული შტატების „რომის პაპის ფონდი“ („The Papal Foundation“)

აღნიშნული პროექტის ბოლო ფაზა ითვალისწინებდა სარწყავი წყლის მიყვანას იმ მიწის ნაკვეთებთან (350 ჰექტარზე მეტი), რომლებიც ორი სოფლის – არალისა (760 კომლი – დაახლ. 2400 მოსახლე) და წარბასთუმნის (46 კომლი – დაახლ. 140 მოსახლე) მოსახლეობის საკუთრებას წარმოადგენდა. სოფელ არალისა და წარბასთუმნის მფლობელობაშია სულ 542 ჰექტარი სახნავ-სათესი მიწა, მათ შორის, 350 ჰექტარზე მეტი ბოლო 20 წლის განმავლობაში არ ირწყვებოდა, რის გამოც ეს მიწები სოფლის მეურნეობისთვის გამოუსადეგარი, ხოლო მათი მფლობელებისათვის უსარგებლო იყო. მოსახლეობის უმეტესობას ამ ნაკვეთებზე აღებული მწირი მოსავალი თავიანთი ოჯახებისთვისაც არ ჰყოფნიდათ, გაყიდვაზე კი ლაპარაკიც ზედმეტი იყო. გამოკითხვისას, ამ სოფლების წარმომადგენლები თავიანთ უმთავრეს პრობლემად ერთხმად ასახელებდნენ სარწყავი წყლის უქონლობას.

სარწყავი წყლის სისტემის პროექტის შედგენის დროს, აღმოჩნდა, რომ სოფელ არალში არსებობს აგრეთვე სასმელი წყლის პრობლემაც. საბოლოოდ, პროექტი ისე შედგა, რომ სოფლებს წყალი მიეწოდება მაღალმთიანი ზონიდან მაგისტრალური წყალსადენით, რომელიც შემდეგ იყოფა ორ განშტოებად. აქედან ერთი მილსადენი, სპეციალური გამწმენდი დანადგარისა და ქლორატორის სისტემის გავლის შემდეგ, უერთდება სოფლების სასმელი წყლის ქსელს.

პროექტის მთავარი მიზანი გახლდათ - არალისა და წარბასთუმნის სოფლებში სოფლის მეურნეობის განვითარება და მოსახლეობის საცხოვრებელი პირობების გაუმჯობესება სარწყავი და სასმელი წყლის სისტემების მოწყობის მეშვეობით.

ვალე

იმისთვის რომ აღნიშნული სოფლების მოსახლეობისთვის ნაყოფიერი გამხდარიყო 350 ჰექტარი სახნავ-სათესი მიწა, რომ მათ კარტოფილის, ხორბლისა და ლობიოს უკეთესი მოსავალი აეღოთ, რომ 1200 სულ პირუტყვს საძოვრებზე ჰქონოდა წყალი, „საქართველოს კარიტასმა“ და ადგილობრივმა თემმა განახორციელა შემდეგი სამუშაოები:

1. მდინარეზე (თურქეთის საზღვართან) სათავე ნაგებობის მოწყობა, რისთვისაც საჭირო გახდა მისასვლელი გზების გაყვანა სამშენებლო ტექნიკისთვის სრუ-

ლიად მიუდგომელ ადგილებში;

2. მაგისტრალური წყალსადენის მოწყობა სათავე ნაგებობიდან იმ წერტილამდე, სადაც მილსადენი იყოფა ორ განშტოებად – სარწყავ და სასმელი წყლის მილსადენებად;

3. წყლის გამწმენდი სისტემის მოწყობა – ჰორიზონტალური სალექარის აშენება და ქლორატორის კომპლექსის არსებულ შენობაში მოთავსება;

4. მოსარწყავ მიწებთან და საძოვრებთან წყლის მიმწოდებელი საირიგაციო მილსადენის ხუთი სხვადასხვა შტოს, ე.წ. „გამანაწილებელი სავარცხლის“ მოწყობა;

2007 წელს დაწყებული სამუშაოები დასრულდა 2009 წლის შემოდგომაზე. „საქართველოს კარიტასს“ სამუშაოების დაწყების ნებართვის მისაღებად დასჭირდა ეკოლოგიური დასკვნის მოძიება, რისთვისაც მან დაიქირავა ეკოლოგების ჯგუფი და, გამოკვლევათა დასკვნის საფუძველზე, მიიღო სამუშაოების ჩატარების ნებართვა.

350 ჰექტარ მიწებზე წყლის მიმწოდებელი საირიგაციო სისტემის მოწყობა დასრულდა 2009 წლის შემოდგომაზე. პროექტით არ იყო გათვალისწინებული, მაგრამ პირუტყვისთვის მოეწყო სამი დამატებითი ტბორი, სუფთა, გამდინარე წყლით, საძოვრებთან ახლოს, და ამით ძალიან მძიმე პრობლემა მოეხსნა მოსახლეობას, რადგანაც საძოვრებზე წყალი არ იყო და პირუტყვს მის მოსაძებნად უწევდა 2-3 კილომეტრით ზედმეტი მანძილის გავლა. ეს დადებითი ფაქტი სოფლის მოსახლეობას საშუალებას აძლევს, გაიჩინოს მეტი პირუტყვი, რადგან ამ პირობებში მათი შენახვა ამ მხრივ საკმაოდ გაიოლდა.

საერთო ჯამში, 23 010 მეტრი სხვადასხვა დიამეტრის მილი იქნა გაყვანილი აღნიშნული პროექტის განსახორციელებლად, იმისთვის რომ სარწყავი წყალი მიაწოდონ ურწყავ მიწებს, ხოლო სასმელი წყალი - სოფლის მოსახლეობას.

„საქართველოს კარიტასის“ პროგრამის მენეჯერი

ლიანა მხეიძე

მოწოდებულთა შეხვედრა ვალში

25 აპრილს მზიანი და ხალისიანი დილა გათენდა. ამ დღეს დაიწყო მსოფლიო ლოცვის კვირეული მოწოდებულთათვის, რათა უფრო მეტმა ახალგზარდამ გაიგონოს ღვთის მოწოდება: „გამომყევი და ღვთის მსახური გახდი“. ამავე დღეს დაიწყო „კეთილი მწყემსის“ კვირაც.

წმ. წირვა განსხვავებული სახით წარიმართა. წირვას ესწრებოდნენ მრევლის წევრები, ჩვენი ძვირფასი სტუმრები: ქუთაისიდან – და ლორედანა, თბილისიდან – და კორინა; ღვთის სამსახურისათვის მოწოდებული ახალგაზრდები, რომლებიც მზად არიან, გაჰყვნენ უფლის ხმას. ჩვენ, ყველანი, მამა ზურაბთან ერთად, უფალს ვევედრებოდით, გულის კარები გაეღო ახალგაზრდებისათვის და განემტკიცებინა მათი რწმენა.

ათი ვაჟი, რომლებიც მთელი წლის მანძილზე საგანგებოდ ემზადებოდნენ, მინისტრანტად აკურთხეს, რამაც ამ დღეს მეტი დატვირთვა და ელფერი შესძინა.

ქადაგების დროს, მამა ზურაბმა საკუთარი გამოცდილება გაგვიზიარა, თუ როგორ მოიხმო იგი მღვდლობისათვის ღმერთმა: „უფლის მოხმობაზე პასუხი „დიახ“ ხომ ჩვენი გადაწყვეტილებებიდან გამომდინარეობს. დღეს ამ ათმა ვაჟმა ღმერთს უთხრა: დიახ, მსურს, ვიყო მინისტრანტი და გემსახურო; ხვალ შეიძლება რომელიმე მათგანმა თანხმობა განაცხადოს სამღვდლო მოწოდებაზე. იესო არის კეთილი მწყემსი, რომელიც დაუღალავად, ყოველთვის მოგვიხმობს, გვირჩევს, გავყვეთ მას, მოვუსმინოთ მის ხმას.“

წმ. წირვის შემდეგ, ოცდაათი-ორმოცი ახალგაზრდა შევიკრიბეთ სამრევლო სახლში, სადაც მონაზვნებმა, კორინამ და ლორედანამ ძალიან საინტერესო ლექცია წაგვიკითხეს მოწოდების შესახებ, გვაჩვენეს სლაიდშოუ გულში ჩამწვდომი ტიტრებით.

„უფლის ხელში ჩვენ ფანქრის მსგავსნი ვართ, როდესაც ხატვის შემდეგ ფანქარს წვერი გაუცვდება, საჭიროა მისი თავიდან გათლა. ასევე ჩვენც, როდესაც ცოდვა დაგვამძიმებს, საჭიროა, დავიმუხტოთ სიკეთით, შევცვალოთ ჩვენი ცხოვრება, ვეცადოთ, რომ ყოველი მომდევნო დღე უკეთესი და უკეთესი იყოს. ღმერთმა, ღალატის მიუხედავად, იცის, როდის ვუპასუხოთ მას სიყვარულით“.

შეხვედრის ბოლოს, მონაზვნებმა თავიანთი ისტორია გვიამბეს, თუ როგორ მოუხმო მათ უფალმა. ახალგაზრდებმა ბევრი კითხვა დაუსვეს მათ, რათა მეტი და უკეთ გაეგოთ მონაზვნობაზე, მათი ცხოვრების წესზე. მ. ზურაბმაც გაგვიზიარა თავისი გამოცდილება.

შეხვედრა სასიამოვნო გალობით დასრულდა.

ვიმედოვნებ, თესლი, რომელიც დებმა და მამა ზურაბმა ჩვენს გულებში ჩათესეს, თავის სასურველ ნაყოფს გამოიღებს.

თამრიკო ჩიტაშვილი

„იყავით გულმოწყალენი, ისევე, როგორც თქვენი მამაა გულმოწყალე"

(მარკ. 10, 17)

იესო ირჩევს თორმეტ მოწაფეს და ავალებს, რომ დამწყემსონ მისი ცხვრები და მათ, მოღვაწეობის მთავარ კრედოდ, სიყვარულსა და გულმოწყალებას სთავაზობს: „იყავით გულმოწყალენი, ისევე, როგორც თქვენი მამაა გულმოწყალე" (მარკ. 10, 17).

იესომ გააგზავნა თავისი მოწაფეები ღვთის სასუფევლის საქადაგებლად. ქრისტიანობის გავრცელების შემდგომ საუკუნეებში, ქრისტეს მოციქულები, თავიანთი თავგანწირვითა და მოყვასისადმი სიყვარულით, ყოველთვის იყვნენ მაგალითნი ყველა დროის მოძღვართათვის.

უფალი კვლავაც ირჩევს საქადაგებლად და ურწმუნოთა დასამწყემსად სამოცდაათს და ეუბნება მათ: „სამკალი ბევრია, მუშაკი – ცოტა" (ლუკ. 10, 2). სიტყვები, რომლითაც ქრისტემ თავის მოწაფეებს მოუწოდა, დღესაც განსაკუთრებით აქტუალურია მთელ მსოფლიოში, ასევე აქტუალურია ის საქართველოს კათოლიკე მრევლისათვის. საქართველოში დღესდღეობით მწვავედ დგას კათოლიკე მღვდლების ნაკლებობის საკითხი. ისინი, მიუხედავად დიდი ძალისხმევისა და თავდადებისა, ყოველთვის ვერ ახერხებენ ყველა კათოლიკესთან მისვლას, მათ დამოძღვრას, საეკლესიო საიდუმლოებების აღსრულებას. აუცილებელია, რომ ქართველმა კათოლიკეებმა საკუთარ წიაღში ეძებონ მღვდლობისათვის მოწოდებულები და ილოცონ, რომ რაც შეიძლება მეტმა ახალგაზრდამ გამოთქვას ღმერთთან მიახლოების, ხალხის მსახურების სურვილი და უფლის მოხმობაზე უპასუხოს – „დიახ"!

მოძღვრის ვალია, იპოვოს ყველა ცოდვილი სული და დაეხმაროს მას ღვთის სასუფევლის მოპოვებაში. მისთვის ძვირფასი უნდა იყოს თითოეული ადამიანი. მღვდელმა არ უნდა ეძებოს დიდი და მდიდარი საკრებულოები, სადაც ეკლესია სავსეა მრევლით, სადაც კომფორტული პირობებია. მოძღვარი ყოველთვის მზად უნდა იყოს, წავიდეს იქ, სადაც ყველაზე მეტად სჭირდებათ მისი დახმარება, სადაც გაჭირვება და სიდუხჭირეა, სადაც ქრისტიანებს დევნიან. მოძღვარი არ უნდა შეუშინდეს სიძნელეებს და თავი უნდა გასწიროს მოყვასისათვის. ასე იყო ქრისტიანობის პირველივე საუკუნეებიდან და თანამედროვე მსოფლიოშიც ამგვარი თავგანწირვის მრავალი მაგალითია (შეგიძლიათ იხილოთ „საბა" №5, საგანგებო ჩანართი).

მოძღვარი მისიონერული სულითაც უნდა იყოს გამსჭვალული. კათოლიკე ეკლესიის მსახურთათვის მისიონერული მოღვაწეობა ყოველთვის იყო და არის ერთ-ერთი უპირველესი მოვალეობა. საკმარისია, გავიხსენოთ საქართველოში კათოლიკე მისიონერთა მოღვაწეობა, რომლებმაც ღრმა კვალი დატოვეს საქართველოს სულიერ და კულტურულ-საზოგადოებრივ სარბიელზე. საქართველოში მათ მოღვაწეობაზე მრავალი მასალა მოგვეპოვება. ასევეა დღესაც, – კათოლიკე მოძღვრები უანგაროდ და თავდადებით ემსახურებიან საქართველოს კათოლიკეებს, ზრუნავენ მათი სულიერი აღზრდა-განმტკიცებისათვის.

ახალშენი დასავლეთ საქართველოში, ქუთაისის მახლობლად მდებარე ერთი პატარა, კათოლიკეებით დასახლებული სოფელია. ის 100 წლის წინ დაარსდა, როცა იქ მესხეთიდან კათოლიკეების მცირე ჯგუფი გადმოსახლდა. თავდაპირველად მოსახლეობა მოკლებული იყო ღვთისმსახურებას და საეკლესიო საიდუმლოების აღსასრულებლად მორწმუნეებს ქუთაისში ან თბილისში უწევდათ ჩასვლა. მალე მათ საკუთარი ძალებით ხის პატარ ეკლესია ააგეს, სადაც ქუთაისიდან ჩამოსული მღვდელი მსახურობდა.

დროთა განმავლობაში, კომუნისტური რეჟიმის დამყარების დროს, ახალშენელებს (როგორც საქართველოს ყველა მორწმუნეს) უფალთან კავშირის ეს საშუალებაც წაართვეს და სოფელი უმწყემსოდ დარჩა. მაგრამ სოფლელებს რწმენა არ დაუკარგავთ და, უკეთესი მომავლის მოლოდინით, საკუთარ სახლებში ჩუმად აღასრულებდნენ ქრისტიანულ წესებს.

რადგანაც ევქარისტიული მსხვერპლშეწირვა ქრისტიანული საკრებულოს მთელი ცხოვრების ცენტრი და მწვერვალია, რომელსაც მხოლოდ მღვდელი აღასრულებს, ახალშენელებმა თხოვნით მიმართეს საქართველოში წმიდა საყდრის დესპანს, მონსინიორ ჟან-პოლ გობელს და მისი დახმარებით, 1994 წელს, სოფელში ორი იტალიელი მღვდელი ჩამოვიდა, მამა ჯუზეპე პაზოტო და მამა გაბრიელე ბრაგანტინი. სწორედ ახალშენელებმა შეაყვარეს საქართველო და ქართველი ხალხი ჩვენს ეპისკოპოსსა და სამოციქულო ვიკარს. მათ დაწყებულ საქმეს ახლა მამა კარლო დისტეფანო აგრძელებს.

მოძღვრის მოვალეობა ახალგაზრდებთან მუშაობა და მათი ღმერთთან მიახლოებაა. მ. ჯუზეპემ, მ. გაბრიელემ და მ. კარლომ შეძლეს ახალგაზრდების (და არა მარტო

მათი) ირგვლივ შემოკრება, კატეხეზებით ისინი ხსნის საიდუმლოს აზიარეს და უფლისაკენ მიმავალი გზა უჩვენეს.

„სამღვდლო მსახურების აღსრულებისას, საკრებულოს წინამძღვრებმა თავისი საკრებულოსთვის უნდა იზრუნონ და მუდამ ახსოვდეთ, რომ ისინი ყველა ცხვრის მსახურნი არიან“ (ვატიკანის II კრების მასალებიდან). ახალშენის საკრებულოში ჩვენი საყვარელი მოძღვრების მოღვაწეობა ვატიკანის II კრებაზე მიღებული დეკრეტის ცხოვრებაში აღსრულებაა. მათ არასოდეს არავინ ავიწყდებათ, ისინიც კი, ვინც საკრებულოს წევრები არ არიან. ყოველ დღესასწაულზე მ. კარლო მაინც ახერხებს, რამდენიმე წუთით მოინახულოს თითოეული ოჯახი, მიულოცოს, აკურთხოს, ავადმყოფი ანუგეშოს...

წერილი ვატიკანის II კრებაზე მიღებული დეკრეტით მინდა დავასრულო:

„მოწოდებებისათვის ხელშეწყობა არის ის მოვალეობა, რომელიც მთელ ქრისტიანულ საზოგადოებას ეხება... მოძღვარნი და ყველა, ვინც ამა თუ იმ სახით ბავშვებისა და ახალგაზრდების აღზრდისათვის ზრუნავს, განსაკუთრებით კი კათოლიკური გაერთიანებანი, უნდა შეეცადონ, მათთვის მინდობილი მოზარდები ისე აღზარდონ, რომ ისინი საღმრთო მოწოდებას ჩასწვდნენ და მას სიხარულით გაჰყვნენ. ყველა მღვდელმსახურმა მოციქულებრივი გულმოდგინებით ხელი უნდა შეუწყოს მოწოდებებს და მოზარდთა სულები მღვდელმსახურებისაკენ საკუთარი ცხოვრების მაგალითით მიიზიდოს. მისი ცხოვრება უნდა იყოს მოკრძალებული, ქმედითი და სიხარულით აღსავსე, სამღვდელმსახურო ურთიერთსიყვარულითა და აქტიური ურთიერთთანამშრომლობით გამსჭვალული“ (გვ. 186).

ვფიქრობ, რომ საქართველოში სწორედ ასეთი მღვდელმსახურნი მოღვაწეობენ და, ღვთის მადლით, მოწოდებულნიც მრავლად გამოჩნდებიან.

კორესპონდენტი, ახალშენი

თქვენი აზრი „საბას“ შესახებ

საბა

№5
მაისი
2010

საქართველოს კათოლიკეთა ყოველთვიური მაცნე

„საბას“ მორიგი ნომრის განხილვა

ჟურნალის წინა ნომრებში გავეცანით სხვადასხვა სამრევლოს შეხედულებებს კათოლიკური ეკლესიის ყოველთვიური გამოცემის, „საბას“ შესახებ ის კრიტიკა, შენიშვნები, წინადადებები და სურვილები, რაც გამოითქვა ,,საბას“ მისამართით, ძალიან საინტერესო იყო ჟურნალის მკითხველებისათვის.

მაისის თვის შუა რიცხვებში შეიკრიბნენ მარიამის ზეცად აღყვანების საკათედრო ტაძრის მრევლის წევრები, „საბას“ მკითხველები, რათა კონკრეტულად განეხილათ ჟურნალის მხოლოდ ერთი, უკანასკნელი N5 ნომერი. ჯგუფი შეჯერდა ერთ აზრზე ზოგიერთი სტატიის შესახებ და ახლა წარმოგიდგენთ ამ ნააზრევს.

როგორც ყოველთვის, ჟურნალი იხსნება სარედაქციო გვერდით,სადაც მამა გაბრიელე ბრაგანტინი ჩვეული კომპეტენტურობით მკითხველს მოუთხრობს კათოლიკური ლოცვის „Ave Maria“-ს შესახებ, მის ისტორიაზე, ტრადიციებზე, სხვადასხვა კომპოზიტორთა მიერ საგალობლისთვის შექმნილ მუსიკაზე. ყოველივე ეს უაღრესად საინტერესოა მკითხველთა ფართო წრეებისათვის.

თქვენ მოგეხსენებათ ქართველ კათოლიკეთა განსაკუთრებული დამოკიდებულების შესახებ პოლონეთთან, რადგან ამ ქვეყნის შვილები აქ, ჩვენთან მოღვაწეობენ, ჩვენი მღვდლები, სულიერი მამები არიან. ამიტომ ქართველმა კათოლიკეებმა, ისევე როგორც ყველა ქართველმა, გულთან ახლოს მიიტანეს პოლონელი ხალხის ტრაგედია – ქვეყნის პრეზიდენტის, მისი მეუღლისა და პოლიტიკური ელიტის დაღუპვა. ამ კატასტროფის და საქართველოში მის მსხვერპლთა სულის მოსახსენიებლად გამართული წირვების შესახებ გამოქვეყნებული სტატიები მართლაც სულისშემძვრელია.

ძალიან საინტერესოა აქტუალური თემის რუბრიკით წარმოდგენილი მამა გაბრიელეს სტატია იტალიაში კათოლიკეთა და მართლმადიდებელთა ურთიერთობის შესახებ. ასევე, საარქივო მასალებიდან მოწოდებული ჩვენი ისტორიის საინტერესო ფურცლები, სოციალური პრობლემები, მსოფლიოში კათოლიკური ეკლესიის ცხოვრების დაიჯესტი.

უაღრესად მტკივნეული იყო იმ სტატისტიკის გაცნობა, რაც მოცემულია საგანგებო ჩანართში. ეს არის 2009 წელს მოკლული სამწყსო მსახურებაში მყოფი მღვდლების, ბერ-მონაზონებისა და საერო პირთა სია.

იმაზე, რომ კათოლიკე ეკლესია საქართველოში არსებობს, ცხოვრობს, მიუთითებს მორწმუნეთა წერილები საქართველოს სხვადასხვა კუთხიდან.

ჟურნალი მთავრდება სხვადასხვა ინფორმაციით და ახალგაზრდული გვერდით.

მთლიანად მთელი ნომერი ძალიან კარგ შთაბეჭდილებას ტოვებს და პასუხობს სხვადასხვა გემოვნების მქონე მკითხველთა მოთხოვნებს.

ნატა ბიგვავა, თინათინ კოკოჩაშვილი

„საბას“ მაისის ნომრის განხილვა ბათუმის საკრებულოში

ბათუმის საკრებულომ განიხილა „საბას“ მაისის ნომერი და თავისი აზრი და შენიშვნები გამოთქვა ნომრის შესახებ. როგორც სხვა საკრებულოებმა აღნიშნეს, ჟურნალი საქართველოში ერთადერთი ბეჭდვითი საშუალებაა, რომელიც აშუქებს კათოლიკური საკრებულოების ცხოვრებას, გამოჩენილი ქართველი კათოლიკეების ღვაწლს სამშობლოს საკეთილდღეოდ, მთელ მსოფლიოში მოქმედი კათოლიკე ეკლესიის დღევანდელობასა და ისტორიას.

„საბა“ ბათუმში მიეწოდება ცენტრალურ ბიბლიოთეკას, სამთავრობო აპარატს, უნივერსიტეტს, სახელმწიფო არქივს, აჭარის ტელევიზიას, რადიოს, გაზეთების: „აჭარისა“ და „ბათუმელების“ რედაქციებს, სახელმწიფო მუზეუმს, პროტესტანტული ეკლესიის მრევლს, კერძო ინსტიტუტებს, დაინტერესებულ ცალკეულ პირებს, ასევე, ვრცელდება კათოლიკე მრევლის წევრებსა და მოსახლეობაში.

12 მაისს, ბათუმის სულიწმიდის ეკლესიის მრევლის წევრები შევიკრიბეთ ამ თვის ნომრის განსახილველად. ჩვენთან იყო აგრეთვე ჩვენი მოძღვარი და „საბას“ რედაქციის წევრი, მამა გაბრიელე ბრაგანტინი. მრევლის აზრით, ბოლო პერიოდში საგრძნობლად გაუმჯობესდა ჟურნალის დიზაინი, ასევე, უფრო საინტერესო გახდა მისი შინაარსიც... თუკი ადრე საკრებულოებიდან შიგადაშიგ მშრალი, არაფრის მთქმელი წერილები იგზავნებოდა, ახლა იგრძნობა, რომ ადგილობრივი საკრებულოების კორესპონდენტები მეტი პასუხისმგებლობითა და ყურადღებით ეკიდებიან დაკისრებულ მოვალეობას და უფრო დახვეწილი და შინაარსიანი წერილები იგზავნება „საბას“ რედაქციაში.. ჩანს, რომ ამაზე გარკვეულწილად დადებითად იმოქმედა ჩატარებულმა ტრენინგებმა.

ერთხმად აღინიშნა, რომ მკითხველს ყველაზე მეტად მოსწონს მამა გაბრიელეს სტატიები. ისინი გამოირჩევიან აქტუალობითა და სიმართლით. ქრისტიანული სიყვარულისა და ტოლერანტობის კარგი მაგალითია მისი სარედაქციო წერილი „მადლობა მის უწმიდესობას, ილია მეორეს“. წერილი კიდევ ერთი კეთილშობილური და მეგობრული ჟესტია საქართველოს საპატრიარქოსა და მისი საჭეთმპყრობელის მიმართ.

ვსარგებლობ შემთხვევით და მსურს, მადლობა გადავუხადო აჭარის ტელევიზიას გადაცემისათვის „Ave Maria“. ვინც ეს ტელეგადაცემა ნახა, ალბათ, დამეთანხმება, რომ ამ ნახევარსაათიან სიუჟეტში ლამაზად და საქმის ცოდნით იყო წარმოდგენილი როგორც საგალობლის შექმნის ისტორია, ასევე ბათუმის სულიწმიდის კათოლიკური ეკლესიის წირვის მომენტები და ინტერვიუ მამა გაბრიელესთან. ეკლესიის კურთხევიდან 10 წლის განმავლობაში, პირველად დაეთმო ასე ვრცელი გადაცემა კათოლიკე ეკლესიის ცხოვრებას საქართველოში, კერძოდ, ბათუმში. მადლობა აჭარის ტელევიზიის ხელმძღვანელობას და გადაცემის შემოქმედებით კოლექტივს.

„საბას“ ამ ნომერში კიდევ ერთხელ აღინიშნა ქართველი ხალხისა და საქართველოს კათოლიკეთა გულისტკივილი კატინის ახალი ტრაგედიის გამო და ჩვენი სულიერი და მორალური თანადგომა მეგობარი პოლონელი ხალხის მიმართ. როგორც საქართველოს ყველა კათოლიკურ ეკლესიაში, ასევე ბათუმის სულიწმიდის ტაძარშიც ჩატარდა კატინში დაღუპულთა სულის მოსახსენიებელი წირვა, რომელსაც დაესწრნენ აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის მთავრობის, ქალაქის მერიისა და საზოგადოების წარმომადგენლები. ტაძარი დამსწრეებს ვერ იტევდა. ტრაგედიამ და მოძმე პოლონელი ხალხისათვის თანაგრძნობის გამოხატვის სურვილმა ყველანი გააერთიანა.

„საბას“ ამავე ნომერში დაბეჭდილ ანდრია-ბათუ დარჩიას სტატიაში – „მომლოცველობა ტრაპიზონში“ კარგადაა გაშუქებული ბათუმის კათოლიკე ახალგაზრდების მომლოცველობა ტრაპიზონის სანტა-მარიას ეკლესიაში. წერილი გამდიდრებულია ფოტომასალით.

მკითხველებმა აღნიშნეს, რომ საინტერესოა, როდესაც იბეჭდება ცნობები საზღვარგარეთის ქვეყნებში კათოლიკეთა და მართლმადიდებელთა ურთიერთობების შესახებ. იმ დროს, როდესაც ზოგიერთი პიროვნება კათოლიკეთა მიმართ აგრესიას იჩენს, აღვივებს ანტაგონიზმს, მნიშვნელოვანია წარმოჩენა იმისა, თუ როგორი გულისხმიერებითა და ქრისტიანული სიყვარულით ეპყრობიან კათოლიკურ ქვეყნებში მართლმადიდებლებს. ამის ერთ-ერთი მაგალითია რუმინეთის მართლმადიდებლური მონასტრის ცხოვრება იტალიაში. ამავე ნომერში ერთი სასიხარულო ცნობაა, რომში, ვილა ბორგეზეს პარკში, ჩვენი სასიქადულო პოეტის, შოთა რუსთაველის ბიუსტის დადგმის შესახებ. ეს ფაქტი ყველა ქართველისათვის საამაყოა.

ჟურნალის განხილვისას, გამოითქვა აზრი, რომ კარგი იქნება, უფრო ხშირად დაიბეჭდოს საარქივო მასალები საქართველოში კათოლიკე ეკლესიის მოღვაწეობის, მისიონერთა, ადგილობრივ ბერ-მონაზონთა, საზღვარგარეთ მოღვაწე ქართველ კათოლიკე სასულიერო და საერო პირთა მოღვაწეობისა და ცხოვრების შესახებ, რათა მოსახლეობის ფართო მასებმა, განსაკუთრებით ახალგაზრდებმა, გაიგონ, თუ რა წვლილი მიუძღვით მათ ჩვენი ქვეყნის სულიერი და მატერიალური განვითარების, მისი ეროვნული თვითმყოფადობის შენარჩუნების საქმეში. მოსახლეობა დღეს მხოლოდ „ევრონიუსისა“ და ყვითელი პრესის საშუალებით იღებს არაობიექტურ და ცალმხრივ ინფორმაციას.

ბათუმელ მკითხველთა აზრით, „საბა“ სავსებით აკმაყოფილებს მის მომხმარებელთა მოთხოვნებს. ბათუ დარჩიამ აღნიშნა, რომ კარგი იქნებოდა, თუ ჟურნალში გაშუქდებოდა რწმენისათვის თავდადებულ საეკლესიო და საერო პირთა ცხოვრება, უფრო რეგულარულად დაიბეჭდებოდა კითხვა-პასუხი მოძღვართან, ასევე, შესაძლებლობის ფარგლებში, თუ გაკეთდებოდა ინგლისურენოვანი გვერდი, რადგანაც ბათუმის ეკლესიაში ხშირად დადიან უცხოელი მორწმუნეები და მათ დიდი სურვილი აქვთ, გაეცნონ საქართველოს კათოლიკეთა ცხოვრებას.

დასასრულს, ბათუმელმა მკითხველებმა კმაყოფილება გამოხატეს ჟურნალში გამოქვეყნებული მასალების გამო, წარმატება უსურვეს „საბას“ მთელ შემოქმედებით კოლექტივს და იმედი გამოთქვეს, რომ მათი სურვილები და წინადადებები შეძლებისდაგვარად გათვალისწინებული იქნება. ჩვენ კი გპირდებით თანადგომასა და აქტიურობას.

თენგიზ პარმაძსიზიშვილი

საარქივო მასალები

ქრისტიანული მოვალეობის გამო ლათინი მამები მტკიცედ წვრთნიდნენ ქართველ კათოლიკეებს და ქართველთა მეფის ერთგულებას და პატივისცემას უნერგავდნენ მათ. თუ სხვა სახელმწიფოებში საქართველოსთვის რაიმე მავნეს შენიშნავდნენ, მაშინვე ქართველ მეფეს აუწყებდნენ, რითაც საქართველოს დიდად ეხმარებოდნენ. პატრების დახმარებით აღმოჩნდა ახალციხიდან ძველისძველი აზნაურის გვარის შთამომავალი ბასილა ხურსიძე, ახალციხის ციხის კარის ზედამხედველად. მას ოსმალები ეძახდნენ „ისარლათ“, შემდეგ ამ გვარს მოიხსენიებენ, როგორც ისარლოვი (ისარლიშვილი). ხურსიძე მეტად ძველი გვარია, ისინი მოხსენიებულნი არიან „ქართლის ცხოვრებაში“ ანდრია მოციქულის დროს. ასევე მოხსენიებულნი არიან „საათაბაგოს მღვდელმთავართა სიაში“. მაგალითად, წურწყაბელის კათედრის სამწყსოს შეადგენდა ის ადგილები, რომელიც ხურსიძის სახლს ეკუთვნოდა. ხურსიძეები ოსმალთაგან სამცხის დაპყრობის შემდეგ დარჩნენ ჯავახეთში, აქ მათ კათოლიკობა მიიღეს, რადგან ოსმალთაგან გათათრება ელოდათ. ხურსიძეების ნატვრა იყო, რომ სამცხე კვლავ საქართველოს შეერთებოდა. ასე ფიქრობდნენ ბასილა და ლუკაზ ისარლოვები (ხურსიძეები) და პატრებიც ეხმარებოდნენ მათ. ბასილას და ლუკაზს ისე ჰქონდათ საქმე აწყობილი, რომ იგებდნენ ფაშების ავ ზრახვებს საქართველოს წინააღმდეგ, შემდეგ გადმოდიოდნენ ქართლში და ყველაფერს ქართველ მეფეს ატყობინებდნენ. ეს ძნელი საქმე იყო. ამ გვარის ცნობა და სხვა გვარებისაც იმიტომ მომყავს, რომ დღესაც მრავალთათვის ხდება საეჭვო, თითქოს ქართველი კათოლიკენი საქართველოში არც კი არსებობდნენ.

როცა ანტონ კათალიკოსი იმერეთიდან ქართლში გადმოვიდა, ის უწინარეს პატრებს დაუმეგობრდა. მაშინ ანტონ კათალიკოსი ანჩხატის გალავნის სასახლეში ცხოვრობდა. ამიტომ ამ სასახლეში პატრებმა იწყეს სიარული, ასევე დადიოდნენ კათალიკოსთან სწავლული სომეხი მოძღვრები, რომელთაც განათლება რომში ჰქონდათ მიღებული. ერთი ამათგანი იყო ფილიპე მოძღვარი, კარგად მცოდნე სომხური და ლათინური ენების; ზაქარია, სომეხ კათოლიკეთა მოძღვარი, რომში გაზრდილი და განსწავლული.

ანტონ კათალიკოსმა დაიწყო ლათინური ენის და მწერლობის შესწავლა. პატრები: ივანე, ნიკოლა პირველი, ბონოვენტო და პადუელი დიდი შრომით ასწავლიდნენ ანტონ კათალიკოსს ყველა მეცნიერებას. ანტონი მეცნიერებათა მიხვედრის გამო გაოცებული დარჩა. ის ყოველდღე ხვდებოდა პატრებს და ესაუბრებოდა სხვადასხვა სამეცნიერო საკითხებზე. ესენი ხშირად სხვადასხვა მღვდელმთავრებსაც უხმობდნენ და ყველაზე ხშირად დოსითეოზ ნეკრესელს, გვარად ჩერქეზიშვილს, კაცს მეტად ბრძენს, მქადაგებელს, ლათინური, ბერძნული და სომხური ენების კარგ მცოდნეს, ლათინური და სომხური ენებიდან ქართულ ენაზე მრავალ წიგნთა მთარგმნელს.

ანტონ კათალიკოსი და პატრები ისე დაახლოვდნენ, რომ დაიწყეს თავისუფლად ლაპარაკი ზოგიერთ რთულ კითხვებზე. ამ დროს ანტონი ისე იყო განსწავლული, რომ სამეცნიერო წიგნების თარგმნას შეუდგა. ერთ დღეს ივანე პატრთან, თათრებისაგან საქართველოს შეწუხების გამო სიტყვა ჩამოვარდა. პატრმა სთქვა: ქართველნი რომ რომის ეკლესიას შეუერთდნენ, მაშინ მთელი ევროპის სახელმწიფოები დაეხმარებოდნენ ქართველებს და ოსმალ-სპარსებს ქართველთა შეწუხების ნებას არ მისცემდნენო. ქართველთა სახელმწიფოს გააძლიერებდნენ და ააყვავებენო. პატრების ეს რჩევა ანტონ კათალიკოსს დიდად მოეწონა და გადაწყვიტა კათოლიკობა მიეღო. იფიქრა, რომ მიიმხრობდა სხვადასხვა მღვდელმთავრებს და მიიღებდნენ კათოლიკობას, შემდეგ დაიყოლიებდნენ მოწინააღმდეგეებს, შემდეგ მთელი ერიც ადვილად წამოვა ჩვენსკენო. 15 წლის განმავლობაში საქართველოს ერი რომის გამგებლობაში შევაო. ანტონმა მალე განუცხადა თავისი აზრი ზოგიერთ მღვდელმთავრებს.

ზოგიერთებს მოეწონათ ეს და მიემხრნენ ანტონ კათალიკოსს, მაგრამ მკაცრ მოწინააღმდეგეთა შორის აღმოჩნდნენ საბა, ნინოწმიდის ეპისკოპოსი და ზაქარია მღვდელი, გაბაშვილი, მამა პოეტის ბესიკისა. ამათ მიიმხრეს მრავალი სხვა უმაღლესი სამღვდელო პირი და სასტიკად დაირაზმნენ ანტონ კათალიკოსის წინააღმდეგ. მათ დააბეზღეს ანტონ კათალიკოსი თეიმურაზ მეფესთან, რომ კათალიკოსი კათოლიკე გახდა და თქვენ და მთელ საქართველოს გაკათოლიკებას გიპირებთო. თეიმურაზმა ირწმუნა ყველაფერი და ანტონ კათალიკოსს მიუგზავნა ოთხი არქიმანდრიტი და საბა ნინოწმინდელი გამოსაკითხავად, თუ იგი რომელ სჯულს ეკუთვნის. ისინი მივიდნენ ანტონთან და ჰკითხეს:

– კათალიკოსო, რომელი სჯული გწამს, რომის თუ მართლმადიდებლისაო?

კათალიკოსმა პასუხი არ გასცა და ყველანი კარში გამორეკა. მოწინააღმდეგეებმა ეს საქციელი იუკადრისეს და ანტონის კათოლიკობა დაამტკიცეს. ანტონ კათალიკოსი სამართალში მისცეს და დაუმტკიცეს მას, რომ იგი თვრამეტი თვის განმავლობაში კათოლიკე ყოფილა. ამიტომ მას მიუსაჯეს 18 თვის პატიმრობა და მალე დააპატიმრეს. ანტონმა ციხეში დაჰყო 14 თვე. ამათ ეს არ იკმარეს, მივარდნენ თბილისის კათოლიკეებს და ეკლესია დაუქციეს. დაანგრიეს ეკლესიის გვერდით აშენებული დიდი სასახლე, აგრეთვე მათხოვართათვის აშენებული სახლი, აფთიაქი, სამრევლო სკოლა. კათოლიკეებს არაფერი აღარ დაუტოვეს.

(წიგნიდან, პატრი ნიკოლა, როგორც ექიმი, მის დროის ქართველ კათოლიკენი საქართველოში. თბილისი. სტამბა ექვთიმე ხელაძისა, 1896. სტილი დაცულია)

ახალგაზრდები და პოლიტიკა

აი, უკვე 18 წელია, რაც კავკასიის მთებში ვცხოვრობ და კარგა ხანია თავი ვანებე იმის თვლას, თუ რამდენჯერ მომიწია საქართველო-სომხეთის საზღვრის გადაკვეთა (1992-1997 წლებში სომხეთიდან საქართველოში, 1997 წლიდან მოყოლებული კი – საქართველოდან სომხეთში), ამ ქვეყნების მოსახლეობის გაჭირვებული ფენისათვის გაწეული სოციალურ-სამედიცინო მსახურებაში.

1988 წლის სპიტაკის (სომხეთი) დამანგრეველმა მიწისძვრამ „დროებით“ გადმომისროლა ამ მხარეში და მას აქეთ ვცხოვრობ ამ მთებსა და ამ ამაყ და ბრწყინვალე ერებს შორის.

ამგვარად, გამიმართლა და შესაძლებლობა მომეცა შევსწრებოდი ამ ქვეყნების კომუნისტური დიქტატურიდან დემოკრატიაზე გადასვლას.

მახსოვს მაშინდელი იმედები და ენთუზიაზმი. თავისუფლების ზღურბლთან მისულ ხალხში ხორცს ისხამდა ხსოვნა შორეული, გარდასული და არასდროს დავიწყებული დიდებისა და უკეთესი მომავლის შესაძლებლობები მსოფლიო თანამეგობრობაში.

ამ გრძნობებს დიდი დღე არ ეწერათ. ტოტალურ დაბნეულობასა და გზაარეულობას არ დაუყოვნებია, რამაც გამოიწვია იმედგაცრუება, შედეგად კი – დეპრესია. კომუნიზმის ფერფლიდან აღმდგარმა პოლიტიკურმა კლასმა მოლოდინი ვერ გაამართლა. ხშირად ჩვენს თვალწინ ამოტივტივდებოდნენ და ხელისუფლებაში ბრუნდებოდნენ ხოლმე გარდასული რეჟიმის ძველი მოხელეები, გამოცდილი და გაიძვერა ხალხი, რომლებიც დაცხრნენ საზოგადოებრივ საკუთრებას, სახელმწიფოსთვის მიღებულ საერთაშორისო დახმარებებს და ისარგებლეს ახალი კანონების არქონით, ან ძველი, საბჭოთა კანონების თვითნებურად ინტერპრეტირებით, კორუმპირებული სასამართლო სისტემით...

ბევრი არაფერი გაკეთებულა ამ ქვეყნებისათვის მათი დამოუკიდებლობის პირველ წლებში. როგორც ხშირად ხდება ხოლმე ამ გარემოებებში, მდიდარნი (მცირედნი) სულ უფრო და უფრო გამდიდრდნენ და (მრავალნი) ღარიბნი კიდევ უფრო გაღატაკდნენ...

საშუალო ფენა, სახელგანთქმული საბჭოთა „ინტელიგენცია“ უკიდურეს სიღარიბეში ჩავარდა. ხალხის ხმა მიწყდა: სოციალური კრიზისი ფსკერს შეეხო და არც იმედის სხივი ჩანდა საიდანმე.

საქართველოში ახალგაზრდულმა „ვარდების რევოლუციამ“ ცოტაოდენი იმედი ჩაუსახა ხალხს. იმედოვნებდნენ, რომ შვილები მამებზე უკეთესნი გამოდგებოდნენ... ნაწილობრივ გამართლდა კიდეც.

სულ მალე მოწმენი გავხდით თუ როგორ ესწრაფვოდა მრავალი „კანდიდატი“ ძალაუფლებას: გონების ნაკლებობას არ განიცდიდნენ, თუმცა მართვის გამოცდილება სრულებით არ ჰქონდათ, ამასთან ერთად მათ საკუთარ თავზე ზედმეტი წარმოდგენაც ამკობდათ; ეშმაკნი და თავკერძონი, და არა უზნეონი და ქურდნი; ხარბნი და სინდისისგან ნაკლებად დამძიმებულნი, აშკარად სამოქალაქო გრძნობისა და ზრდილობის გარეშე, უგრძნობნი და უსინდისონი...

მრავალი მათგანის დევიზი იყო: „დაიტაცე, შეირგე, დღეს შენი ჯერია: ხვალისა არავინ უწყის...“.

რამდენჯერ გახდა პრეზიდენტი იძულებული ჩარეულიყო, რათა გადაეყენებინა და გაეთავისუფლებინა ცუდი და უუნარო პირები?

ვისი მომზადებული და აღზრდილია ეს ახალი თაობა? კეთილსინდისიერებისა და კორექტულობის რა მაგალითი აქვთ მიღებული მამათაგან? ვინ მოამზადა ისინი ერის წაძღოლის დავალების შესასრულებლად?

ბოლოს და ბოლოს, საერთო ჯამში და ყველასათვის ცნობილი ნაკლოვანებებით, საქმე უკეთ გამოსდით, ვიდრე ამის ვარაუდი შეიძლებოდა...

კი მაგრამ, რა მომავალი გველის? რა პოლიტიკური კლასი შეცვლის დღევანდელს? ტაფიდან ნაკვერჩლებზე ხომ არ გადმოვვარდებით?

მთელი სიმწვავით დგას ჩვენს წინაშე ახალგაზრდების აღზრდისა და ფორმაციის აუცილებლობა, ვინაიდან ზრდასრულმა, განათლებულმა და მტკიცე რწმენით გამდიდრებულებმა არ დაიხიონ უკან პასუხისმგებლობის წინაშე, არამედ მთელი ძალღონით, როგორც ქრისტიანული იმედის სარწმუნო მოწმეებმა, კორექტულად იკისრონ, „პოლიტიკის წარმართვა“ თავიანთ ძმათა სასარგებლოდ.

ისინი მოხმობილნი არიან ჰქონდეთ რწმენა, რომელიც მათ საშუალებას მისცემს კრიტიკულად მიუდგნენ ამჟამინდელ (ფსევდო)კულტურას, წინ აღუდგნენ მის ცდუნებებს და ეფექტური კვალი დაამჩნიონ ქვეყნის ეკონომიკურ, სოციალურ და პოლიტიკურ სფეროებს.

იმის მოლოდინში, რომ „სულხან-საბა ორბელიანის სასწავლო უნივერსიტეტი“ შემოგვთავაზებს ესოდენ ნანატრ და საჭირო პოლიტიკურ მეციერებათა კურსს, სად ვიპოვოთ იმპულსი იმისათვის, რომ ამ მიზნისაკენ დასაახლოვებელ გზას დავადგეთ?

ჩვენ, კათოლიკეებს, იმედი გვაქვს, რომ ეკლესიის სოციალურ მოძღვრებაში, ვატიკანის II კრების დოკუმენტებში, განსაკუთრებით კი Gaudium et spes-ში და პაპის, იოანე XXIII-ის Mater et Magistra-ში ვპოვებთ ამის შესახებ სანდო მითითებებს.

ეკლესიაა, თავისი მთლიანობითა და სულიწმიდის შემწეობით, ერთადერთი სინამდვილე, რომელსაც ძალუძს გაფანტოს წყვდიადი და მიუთითოს გზა, სახარებით შთააგონოს საზოგადოება, „ღვთის ერის“ – საეროთა, რომელიც მისი ხერხემალია – მოქმედების საშუალებით.

ქრისტიანი საერო პირები, ქრისტესთან, რომელიცაა „გზა, ჭეშმარიტება და სიცოცხლე“, მათი დამაკავშირებელი ლოცვით, ფლობენ განსაკუთრებულ კომპეტენციას, მართონ საწუთრო საქმეები. მწყემსების უფლება-მოვალეობაა ნათლად გამოთქვან პრინციპები, მაგრამ საერო პირებს ღმრთისაგან მისია აქვთ მიღებული, მიიტანონ სახარება კულტურის, საზოგადოების, ეკონომიკისა თუ პოლიტიკის სფეროებში.

ქრისტიანი საერო პირების მოვალეობაა შეაფასონ და კითხვის ქვეშ დააყენონ ის კულტურული კლიმატი, რომელიც ბატონობს ჩვენს ქვეყანაში. თუკი, როგორც ერთი შეხედვით ჩანს, ეს კლიმატი სრულებით არაა თანხმობაში არც სახარებასთან და არც ეკლესიის მოძღვრებასთან, მაშასადამე, შესაცვლელია. ამ საკითხთან დაკავშირებით არა აქვს მნიშვნელობა, მემარცხენე ხარ, თუ მემარჯვენე. არსებობს ძირითადი ჭეშმარიტებანი და ფასეულობანი, რაც ჩვენ, მორწმუნეებს, მტკიცედ გვწამს და რაც დღესდღეისობით სისტემატიურად ილახება.

მაშასადამე, საშური საქმეა ერთობლივი ძალისხმევა, რაც ყველა პარიტიას საერთო ექნება.

საჭიროა მხოლოდ გათვითცნობიერება და ხელის განძრევა.

ალბათ, ამ მხრივ, ნამდვილად დაგვიდგა გამოღვიძების ჟამი.

საჭიროა კაპილარული, ყველგანმიმღწევი მოქმედების დაწყება, „აღზრდა პოლიტიკისათვის“, ამ სიტყვის ნამდვილი მნიშვნელობით, რაც მდგომარეობს საერთო სიკეთისათვის უანგარო სამსახურში, „ღვთის სასუფევლის ფასეულობათა შუქზე, რომელიცაა აღთქმა და საწინდარი იმ იმედისა, რომელიც არ მტყუნდება“ (ბენედიქტე XVI).

მ. ივან მარტინი

როცა მოზარდის უფლებები ირღვევა...

რამდენიმე ხნის წინ, თხოვნით მოგვმართა ხელვაჩაურის №1 საჯარო სკოლის XI კლასის მოსწავლემ, თეონა აბულაძემ. მას სურდა, მოსწავლეთა რესპუბლიკური კონფერენციისათვის დაეწერა თემა კათოლიკური ეკლესიის შესახებ, და გვთხოვა, დავხმარებოდით მასალების მოძიებაში. რადგანაც თეონა აჭარის მკვიდრია, ჩვენი რჩევით, მან საკონფერენციო თემა აჭარაში, კერძოდ, ბათუმის ოლქში კათოლიკობის ისტორიას მიუძღვნა. სახელმძღვანელოდ მას საკმაოდ ვრცელი ლიტერატურა მივაწოდეთ: წიგნები, ბროშურები, აჭარის გაზეთებში სხვადასხვა დროს დაბეჭდილი სტატიები, ამონარიდები წიგნებიდან. თეონა დიდი მონდომებით შეუდგა მასალის დამუშავებას და ნაშრომში კათოლიკური ეკლესიის დღევანდელი ცხოვრების ამსახველი მასალებიც შეიტანა.

რამდენიმე ხნის შემდეგ, თეონა დათრგუნული მოვიდა ჩვენთან და გვითხრა, რომ თემა დაუწუნეს. მახვილაურის სკოლის დირექტორმა გურამ ფარტენაძემ, რომელიც რესპუბლიკურ კონფერენციაზე თემების შერჩევას ხელმძღვანელობდა, ესეც არ იკმარა და თეონას ბებიას უთხრა: უშველეთ მაგ ბავშვს, დაღუპვის პირასაა მისული, რადგან კათოლიკურ ეკლესიაში მივიდაო. თეონამ გვთხოვა, დავხმარებოდით, რომ საქმე გაერკვიათ და მისი თემა კონფერენციაზე გაეგზავნათ.

ბუნებრივია, ჩვენ დავინტერესდით ამ ამბით, რადგანაც ბავშვის უფლებების დარღვევასთან გვქონდა საქმე, და თეონას თემის რეცენზიისათვის კომპეტენტურ პირებს, პროფესორებს კახაბერ სურგულაძესა და თენგიზ მოისწრაფიშვილს მივმართეთ. ნაშრომის გაცნობის შემდეგ, მათ აღნიშნეს მისი, როგორც დადებითი, ისე შედარებით სუსტი მხარეებიც. ორივე რეცენზენტის აზრით, ნაშრომი XI კლასელი მოსწავლისათვის დამაკმაყოფილებლად იყო შესრულებული.

ბავშვის ინტერესების დასაცავად, მე და მამა გაბრიელე გურამ ფარტენაძეს შევხვდით. შევეცადეთ, გაგვერკვია, რა იყო მოსწავლის მიმართ ასეთი არაპედაგოგიური მოპყრობის მიზეზი. ბატონი გურამი საკმაოდ ცივად შეგვხვდა, აშკარად ემჩნეოდა, რომ არ სურდა ჩვენთან საუბარი; უხეშად გვაწყვეტინებდა სიტყვას და ჩვენი ვინაობის გაგებაც კი არ ისურვა; არც ის მოინდომა, რეცენზენტების დასკვნებს გასცნობოდა და, გაღიზიანებულმა, თითქმის ყვირილით გამოგვიცხადა, რომ ის იყო ხელვაჩაურში ამ პროექტის ხელმძღვანელი და თავად წყვეტდა, რომელი თემა გაეგზავნა და რომელი – არა.

მიუხედავად გურამ ფარტენაძის დიდი წინააღმდეგობისა და მცდელობისა, რომ გარეთ გამოვეყარეთ, ჩვენ მაინც ვაიძულეთ, ნაშრომი წაეკითხა და თეონასთვის აეხსნა, რატომ არ მოხვდა მისი თემა კონფერენციაზე. ბატონი გურამი გვარწმუნებდა, რომ ნაშრომში არ იყო მითითებული წყაროები, ასევე, არ ეთანხმებოდა მის შინაარსს, სადაც კათოლიკური ეკლესიის ღვაწლი ქვეყნებისა და ერების გაერთიანების საქმეში დადებითად იყო გაშუქებული. მამა გაბრიელე შეეცადა, სხვადასხვა მაგალითებითა და ფაქტებით აეხსნა მისთვის ეს ყველაფერი, მაგრამ დირექტორმა, რომელიც სპეციალობით ისტორიკოსია, მისი მოსმენა არ ისურვა და უხეშად გააწყვეტინა საუბარი.

მე ვკითხე, მოუსმენია თუ არა ტელევიზორში ისტორიკოსების, სიმონ მასხარაშვილისა და გოჩა საითიძისათვის? ან თუ სმენია აჭარაში მცხოვრები გამოჩენილი კათოლიკეების მოღვაწეობის შესახებ, იცოდა თუ არა, რა როლი ითამაშა კათოლიკე მეფისაშვილმა აჭარის დედა-სამშობლოსთან შეერთების საქმეში, მაგრამ მას არაფრის გაგონება არ სურდა. ჩვენთვის უკვე გასაგები იყო, რომ ბატონი გურამი კათოლიკობის თემამ გააღიზიანა და მოსწავლის სულიერი მდგომარეობა არად ჩააგდო.

როგორც თეონამ აღნიშნა, მისთვის გამაღიზიანებელი და დამთრგუნველი არა მისი ნაშრომის დაწუნება, არამედ დირექტორის მიერ კათოლიკეების სექტანტებად გამოცხადება და კათოლიკური ეკლესიის უდიერად მოხსენიება იყო. მოულოდნელი იყო დირექტორის შეკითხვა, რომელიც მან თეონას დაუსვა: რა არის „სქიზმა“? გაკვირვებულმა ბავშვმა უპასუხა: როგორ, თქვენ, ისტორიკოსმა, არ იცით, რა არის სქიზმა? გაღიზიანებულმა და დაბნეულმა ბატონმა გურამმა მოსწავლეს ზრდილობისაკენ მოუწოდა.

მე ბატონ გურამს მივუთითე, რომ მისი საქციელი არაქრისტიანულია და ნაცვლად ბავშვის წახალისებისა, ის მასში შემოქმედებითი ძიებისა და კვლევისაკენ მისწრაფებას კლავს; და მხოლოდ იმიტომ, რომ მისთვის კათოლიკობის თემა მიუღებელი აღმოჩნდა; რომ ის ვერ აფასებს კათოლიკეების ღვაწლს საქართველოს ისტორიაში, ალბათ, მას გაგონილიც არ ექნება სულხან-საბას, ნიკიფორე ირბახის, ივანე გვარამაძის, მიქელ თარხნიშვილის, მიხეილ თამარაშვილის, ზუბალაშვილების, ყაუხჩიშვილების, თუმანიშვილების, პეტრე მელიქიშვილის, ზაქარია ფალიაშვილისა, და სხვა გამოჩენილ ქართველ კათოლიკეთა სახელები. არადა ისტორიკოსია, სკოლის დირექტორი, სხვებს უსწორებს ნაშრომებს და ბავშვების ბედი მის ხელშია. ამაზე ბატონმა გურამმა ისეთი აბსურდული პასუხი გამცა, რომ არც ღირს მისი გამჟღავნება.

მასთან საუბრის გაგრძელებას აზრი არ ჰქონდა. მაგრამ საკითხავია, ბავშვთა აღზრდის საქმეს და ჩვენი ქვეყნის მომავალს რამდენად წაადგება ასეთი „კომპეტენტური პედაგოგისა და ისტორიკოსის“ მოღვაწეობა?!

თენგიზ პარმაქსიზიშვილი

ერთი სასწავლო წელი ამერიკაში

მინდა, შორიდან მოგესალმოთ და მოგეფეროთ, ჩემო ძვირფასო ქართველებო. მინდა, ყველა ის მონატრება და სიყვარული ჩავტიო ამ პატარა წერილში, რაც მთელი ამ დროის განმავლობაში დამიგროვდა გულში. ახლა, როცა სამშობლოდან და ჩემი საყვარელი ხალხისგან შორს ვიმყოფები, უფრო მეტად ვგრძნობ, თუ რამდენად ძლიერია ჩემში სამშობლოს სიყვარული. მეამაყება, რომ ქართველი ვარ და ამ დიდი ისტორიისა და კულტურის მქონე ქვეყნის წარმოჩენის პატივი მეც მერგო წილად. როცა მეკითხებიან ჩემი ქვეყნისა და წარმომავლობის შესახებ, ყოველთვის დიდი სიამაყითა და აღტაცებით ვუამბობ ხოლმე მათ უცნობ „GEORGIA“-ზე და ვცდილობ, რაც შეიძლება მეტი ინფორმაცია მივაწოდო მის შესახებ.

ჩემი ამერიკული ისტორია მაშინ დაიწყო, როცა სასკოლო გაცვლითი პროგრამის FLEX –ის (Future Leaders Exchange) ფინალისტი გავხდი. ეს პროგრამა კი ყოფილი საბჭოთა კავშირის ყველა ქვეყნის მოსწავლეს აძლევს ერთი წლით ამერიკაში სწავლის, ამერიკულ კულტურასთან ზიარების, ახალი მეგობრების შეძენის შანსს. ასე რომ, დიდი შემართებითა და წარმატების მიღწევის იმედით, დავტოვე საქართველო და უკვე ცხრა თვეა, რაც სრულიად უცნობი, განსხვავებული კულტურის, შეხედულებებისა და ღირებულებების მქონე ხალხის ნაწილი

გავხდი. თავიდან ყველაფერი მეუცხოებოდა და მიჭირდა უცხო გარემოსთან შეგუება, მაგრამ ძალიან მალე შევეჩვიე მას, და ხშირად მიკვირს კიდეც, რომ ყოველივე ეს ჩემს ცხოვრებაში ხდება. ყოველი დღე გადატვირთული და, ამავე დროს, ძალიან საინტერესოა.სკოლის შემდეგ, თითქმის ყოველდღე მიწევს კლასგარეშე დამატებით კლუბებში დარჩენა და სასკოლო ცხოვრებაში უფრო აქტიურად ჩაბმა. ვმონაწილეობ სკოლის კულტურულ საგანმანათლებლო პროგრამებში, როგორიცაა: მუსიკალური და თეატრალური წრეები. ძალიან ხშირად (თითქმის ყოველდღე) მიწევს მოხალისეობა



და დაწყებითი სკოლის მოსწავლეებს საშინაო დავალების მომზადებაში ვეხმარები. ბავშვები დიდ ინტერესს იჩენენ საქართველოს მიმართ, ამიტომაც გადავწყვიტე, მესწავლებინა მათთვის ქართული სიმღერა და ცეკვა. ასე რომ ყველა ერთად ვტკბებით ქართული ჰანგებით. გარდა ამისა, ჩემი ამერიკული ქალაქის მერის ახალგაზრდა მრჩეველთა საბჭოსა და სკოლის მოსწავლეთა თვითმმართველობის აქტიური წევრი ვარ, რაც კიდევ უფრო მეხმარება წარმატებული ლიდერისათვის საჭირო გამოცდილების მიღებაში.

ყოველ დღეს უფლისადმი მადლის შეწირვით ვიწყებ და ვამთავრებ. მადლობას ვწირავ უფალს იმ დიდი წყალობისათვის, რომ მომცა შანსი, ჩემი დიდი ხნის ოცნება რეალობად მექცია. ვგრძნობ, რომ აქ ყოფნის განმავლობაში უფრო მეტად დავუახლოვდი უფალს.

ჩემი ამერიკული ოჯახის წევრები ქრისტიანები არიან, მაგრამ აღმსარებლობით არა კათოლიკენი. მე დიდი სიამოვნებით ვესტუმრე მათ ეკლესიას და გავეცანი მათ ლიტურგიასა და წეს-ჩვეულებებს, რაც. გამოგიტყდებით, ძალიან მომეწონა და რამაც დამაინტერსა კიდეც. შევამჩნიე, რომ ხალხი დიდი რწმენითა და პატივისცემით ეკიდება ეკლესიასა და მის კანონებს. მიუხედავად იმისა რომ მათ ეკლესიაში სტუმრობა და ახალი მეგობრების შეძენა ფრიად სასიამოვნო იყო, ერთი სული მქონდა, კათოლიკე ეკლესიაში წავსულიყავი.

ვერც კი აგიწერთ, რა ვიგრძენი, როცა პირველად შევედი კათოლიკურ ტაძარში. საკვირაო წირვა მიმ-

დინარეობდა, ოდნავ დავიგვიანე, გუნდი უკვე „დიდება მაღალთა შინა-ს...“ გალობდა. როცა კარები გავაღე და ნაცნობი გალობის ჰანგები მომესმა,- როცა ჩვეული ატმოსფერო შევიგრძენი, ცრემლები გადმომცვივდა უნებლიეთ თვალთაგან.... ვტიროდი, და არ ვიცოდი, რატომ. თუმცა ფაქტი იყო, რომ ეკლესიაში შესვლისთანავე ძალიან დიდი სიმშვიდე ვიგრძენი... ამის შემდეგ, ყოველთვის ვესწრებოდი საკვირაო წირვას და აქტიურად ვმონაწილეობდი საეკლესიო ცხოვრებაში. კერძოდ, ჩავეწერე საეკლესიო გუნდში და გალობა დავიწყე შესანიშნავ გუნდთან ერთად. უფალმა შესაძლებლობა მომცა, ღვთისადმი ჩემი უზომო მადლიერება გალობით გამომეხატა. კარგად გავიცანი და დავუმეგობრდი ჩემს ამერიკელ მოძღვარს, რომელიც ძალიან დავაინტერესე ქართული ეკლესიითა და ჩემი სამრევლოს (ვალეს) ცხოვრებით.

ამერიკელები, ზოგადად, დიდი პატივისცემითა და სიყვარულით მოიხსენიებენ სხვა რელიგიათა წარმომადგენლებს და დიდი სიამოვნებით იზიარებენ სხვადასხვა რელიგიურ მოსაზრებებს. მათი მთავარი ღირებულება ხალხის თავისუფალი ნება და ურთიერთპატივისცემაა.

არაერთი სასარგებლო თვისება შევიძინე ამერიკელებისგან და ვთვლი, რომ ეს ერთი წელი ძალიან დიდ გავლენას იქონიებს ჩემს მომავალზე. შევიცვალე და შეიცვალა ჩემი შეხედულებებიც. ღმერთს მადლობას ვწირავ ამ დიდი წყალობისათვის. იქ ყოფნისას, ერთი რამ ძალიან კარგად გავაანალიზე: სადაც არ უნდა იყო, რასაც არ უნდა აკეთებდე, ღვთის მადლი და შემწეობა მუდამ გაქვს; მთავარია, გწამდეს მისი.

ქეთი ჩიტაშვილი

ვეფხისტყაოსანი – ქართული ლიტერატურის შედევრი

სულ ახლახანს რომში, ვილა ბორგეზეში, საზეიმოდ გაიხსნა უდიდესი ქართველი პოეტის შოთა რუსთაველის მონუმენტი. ვაქვეყნებთ L'Osservatore Romano-ში (22.04.2010) ამ მოვლენისადმი მიძღვნილ გაგა შურღაიას (ვენეციის უნივერსიტეტი) სტატიას.

შოთა რუსთაველი (დაახლოებით 1166-1250 წწ.) უდიდესი ქართველი პოეტი, მოაზროვნე და ჰუმანისტი იყო. იგი XII საუკუნის სამოცდაათიან წლებში დაიბადა. მისი ერთადერთი, ჩვენამდე მოღწეული პოემა „ვეფხისტყაოსანი“, ყველაზე გამორჩეულ ადგილს იკავებს ქართულ ლიტერატურაში მრავალ მიზეზთა გამო. პოემა 1189-1207 წლებში დაიწერა და იგი შუასაუკუნეების ქართული ლიტერატურის, თეოლოგიისა და ფილოსოფიის ჭეშმარიტი ნაზავია. ნაწარმოების შინაარსი ძალზედ მკაფიოა, მასში შევხვდებით იმ ეპოქისთვის დამახასიათებელი თხრობის სტილს, აღმოსავლური ინტრიგებით გაჟღენთილს. ალეგორიებს, სადაც სიყვარული და მეგობრობა ერთ მთლიან სიუჟეტს ქმნიან. აქ წარმოდგენილია ადამიანის მოქმედების ორი მოდელი, რომლებიც ჰეროიზმამდეა აყვანილი და ბოროტებასთან ბრძოლაში გაცხადებული. პერსონაჟების ხასიათი აღწერილია მათი მოქმედებების გათვალისწინებით. მიზანი იმდენად „მშვენიერია“, რამდენადაც მისაღწევად რთული. მიუხედავად იმისა, რომ პოემა XII საუკუნის საქართველოს სოციალურ-პოლიტიკური რეალობიდან გამომდინარეობს, – სადაც გაბატონებულია თეოკრატიული მონარქია, დედაკაცის გვირგვინოსნობის ლეგიტიმურობა მემკვიდრე მამაკაცის არარსებობის დროს, გვიანი შუასაუკუნეებისთვის დამახასიათებელი ფეოდალური კავშირები, რომლის შიგნით ვაჭრული სული ტრიალებს, – იგი გვთავაზობს ადამიანის საქციელის პოლიტიკურ გარემოსთან დაპირისპირების ფილოსოფიურ სინთეზს. სწორედ ადამიანის როლის კოსმიურ განსაზღვრაში, ანუ ღმრთისგან წინასწარ დაგეგმილ წესრიგში მდგომარეობს რუსთაველის უდიდესი ნოვატორობა ადრეული ხანის ლიტერატურასთან შედარებით, ასე ძლიერ რომ არის გაჯერებული ქრისტიანული სწავლებით,

რასაც თავისი ფუნქცია გააჩნდა ფეოდალური სახელმწიფოს ჩამოყალიბებაში. პოეტი, რომელიც ნაზიარებია არა მარტო ქრისტიანობას, არამედ ნეოპლატონიზმს, უარყოფს ფატალიზმს, როგორც სისტემას და მის ნაცვლად, სხვა იდეალებით ნაკვები ადამიანის გონივრულ და შედეგიან საქციელში, ერთადერთ შესაძლებელ მოდელზე მიგვითითებს.

რუსთაველის პოემაში, ქრისტიანული იდეალი, ანუ კეთილი და გულმოწყალე შემოქმედის რწმენა, სულის უკვდავება, სიკვდილის შემდგომ ღვთის ხილვა, ჰარმონიულადაა შერწყმული ამქვეყნიურ ფასეულობებთან, მსოფლმხედველობასთან, რომელიც ადამიანურ სამყაროს, თავისი უმწეობის მიუხედავად, მშვენიერებად აღიქვამს. ამ თვალსაზრისით, მისი გმირების პრაგმატულობა სრულიად ახალი სიტყვაა ქართული ლიტერატურისა და ფილოსოფიის ტრადიციაში.

ამიტომაც იქცა ეს პოემა უნიკალურ და შეუდარებელ ნიმუშად მომდევნო საუკუნეებისთვის.

განუსვენე მათ, უფალო!

სერაპუი (ლენა) კურჩიანი
* 25. 08. 1926
† 03.04. 2010



მატევოს ანტონიანი
* 15. 06. 1927 – ნინოწმიდა, ეშტაი
† 09. 05. 2010 – ოზურგეთ



ვახტანგ ხითარიშვილი
* 15. 03. 1950 – ვალე
† 22. 04. 2010 – ვალე



ივანე გალახაშვილი
* 06. 05. 1939 – უდე
† 25. 03. 2010 – უდე

ნიკოლოზ ჯანაშვილი
* 07. 09. 1933 – ვალე
† 23. 04. 2010 – ვალე



პავლე გიქოშვილი
* 15. 06. 1936 – უდე
† 04. 04. 2010 – უდე



ოთარ ყულჯანიშვილი
* 10. 08. 1937 – უდე
† 03. 04. 2010 – უდე



ანა გალახაშვილი
* 29. 07. 1936 – უდე
† 03. 04. 2010 – უდე

მანიჟა კაჭკაჭიშვილი-მანველიშვილისა
* 18. 09. 1936 – არალი
† 07. 05. 2010 – ვალე

სარჩევი

რედაქციის გვერდი 2
კათოლიკე ეკლესია მსოფლიოში 3
კათოლიკე ეკლესია საქართველოში 6
ჩემი მღვდელი 8
თქვენი აზრი "საბას" შესახებ 9
საარქივო მასალები 11
სოციალური პრობლემები 12
აქტუალური თემა 13
ქართველები უცხოეთში 14
ინფორმაცია 15
ახალგაზრდული გვერდი 17
საგანგებო ჩანართი: ..... I-VI

რედაქცია:

მამა გაბრიელე ბრაგანტინი
ნუგზარ ბარდაველიძე
ნატო ბიგვავა
ვერიკო ნოზაძე
მერაბ ღაღანიძე
ზაზა შათირიშვილი
ციცინო ხითარიშვილი

მისამართი:

თბილისი, გია აბესაძის ქ. №4
ტელ.: 98-95-16
რეგისტრაციის № 1853
დაარსდა 1994 წ.
მანანა ანდრიაძის მიერ

© „საბა", 2010



საქართველოს კათოლიკეთა ახალგაზრდების საბჭო

ჩემპიონები

კაბადოკიელი მამები: მეგობრები
მეოთხე საუკუნიდან,
რომლებიც ყველა დროს ალამაზებენ
(ჯ. ჰ. ნიუმანი)

ვინ არიან კაბადოკიელი მამები?

კაბადოკიელ მამებზე საუბრისას გულისხმობენ ბასილი კესარიელს, გრიგოლ ნაზიანზელს და გრიგოლ ნოსელს, რომლებიც წარმოშობით კაბადოკიიდან (მცირე აზია) არიან.



ბასილი კესარიელი, „დიდად“ წოდებული (330-379), საფუძვლიანად იცნობდა კლასიკურ კულტურას და ყოველთვის მიუთითებდა მის დიდ აღმზრდელობით მნიშვნელობაზე. ის ჯერ ბერი გახდა, შემდეგ მღვდელი და ბოლოს კესარიის ეპისკოპოსი (370), დაუღალავად და თავგანწირვით ეწეოდა საღვთისმსახურო და საქველმოქმედო საქმიანობას. მის უმნიშვნელოვანეს ნაწარმოებებს შორისაა: არიანული ერესის საწინააღმდეგოდ „ეუნომიოსის წინააღმდეგ“; სამების დოგმის თაობაზე „სულიწმიდის შესახებ“; ბიბლიის განმარტებისთვის მიძღვნილი ჰომილიები; „ასკეტიკა“, რომელიც რელიგიური ცხოვრების ძირითად პრინციპებს ეხება; და ბერმონაზვნური წეს-განგება, ფუძე და საყრდენი მთელი აღმოსავლური ბერმონაზვნობისა.



გრიგოლ ნაზიანზელი (დაახ. 329-390), სწავლის დამთავრებისა და მღვდლად კურთხევის შემდეგ, მოხმობილ იქნა კონსტანტინოპოლის სამწყსოს დასამწყემსად (379), რომელიც მალე მიატოვა, რათა თავი მიეძღვნა ასკეტური ცხოვრებისათვის ნაზიანზში (381). მისი ვრცელი ლიტერატურული მემკვიდრეობა მოიცავს: 45 წერილს (მათ შორის, განდგომის აპოლოგიას, ივლიანე განდგომილის წინააღმდეგ დაწერილ, ბასილის ცხოვრებისა და გარდაცვალებისადმი მიძღვნილ ქებაი და დიდებაის); 5 ღვთისმეტყველურ მიმართვებს, რომლებიც კონსტანტინოპოლში წარმოთქვა მართლმადიდებლობის დასაცავად; 45 წერილისგან შემდგარ კორპუსს, და მორალური, დოგმატური და ავტობიოგრაფიული ხასიათის უმდიდრეს პოეტურ ნაშრომებს.

გრიგოლ ნოსელი (დაახლ. 335-394) იყო რიტორიკის მასწავლებელი და თავგამოდებით იცავდა მართლმადიდებლობას; არიანიზმის წინააღმდეგაა მიმართული მისი უმთავრესი ნაწარმოები ეუნომიოსის წინააღმდეგ – ეს გახლავთ ოთხი ტრაქტატი, რომლებსაც ერთი სათაური აერთიანებს. გარდა ამისა, იგი ითვლება მისტიკური თეოლოგიის ფუძემდებლად.

ისტორიული ფონი

ისტორიულად კაბადოკიელი მამების მოღვაწეობის ხანად IV-V საუკუნეები ითვლება; ისტორიულ-პოლიტიკური სიტუაციის ცვლილების წყალობით, ამ პერიოდში ქრისტიანულმა ლიტერატურამ მაქსიმალური აყვავება განიცადა. კონსტანტინეს ედიქტმა (ჩვ. წ. აღ-ით 313) საბოლოოდ დაასრულა ქრისტიანობის მიმართ სახელმწიფოს მტრული დამოკიდებულება. ამავე დროს, კლებულობს ბერძნული კულტურისადმი უნდობლობა და შიში. ეკლესიას ვერაფერი დააკლო ამდენმა დევნამ, მან შეძლო, შეექმნა და შეენარჩუნებინა თავისი იდენტობა და ცნობიერება, როგორც ახალი არსებობის რეალობა, სახარების სულისკვეთების მიხედვით განესაზღვრა თავისი პოზიცია და დამოკიდებულება სამყაროსთან და პოლიტიკურ ძალაუფლებასთან. ამ დროიდან მოყოლებული, ეკლესიასა და სახელმწიფოს შორის ურთიერთობაში ჩნდება ერთგვარი განაწესი, რომელიც იმპერიულ ძალაუფლებასთან დაქვემდებარებასა (კეისაროპაპიზმი), ან ორი ძალაუფლების „სიმფონიას“ შორის მოძრაობს. ეკლესიამ თავისი ადმინისტრაციული სისტემა რომის იმპერიის, მოგვიანებით კი – ბიზანტიის სახელმწიფოს პოლიტიკური დაყოფის მაგალითის საფუძველზე ჩამოაყალიბა (საეპისკოპოსოები, მეტროპოლიური ეპარქიები, საარქიეპისკოპოსოები, საპატრიარქოები). რომ

გამკლავებოდა რწმენის, მორალური, ეკლესიური ხასიათის საკითხებს და გადაეჭრა ისინი, უმაღლეს ორგანოდ ადგილობრივ და უნივერსალურ დონეზე ეპისკოპოსების „სინოდი“ დაამკვიდრა, რომელშიც ჩამოაყალიბა თავისი ძირითადი დოგმები, როგორიცაა სამების, ქრისტოლოგიური, პნევმატოლოგიური და მარიოლოგიური, და მისი – როგორც ეკლესიური, ასევე არაეკლესიური – მორწმუნეების მორალური ცხოვრების ნორმები. შექმნა და მოაწყო ლიტურგიული ცხოვრების წესი, წმინდა ევქარისტიის მსახურება. დაამკვიდრა ბერ-მონაზვნური ცხოვრება მონასტრებში და იგი ეკლესიის კონტროლს დაუქვემდებარა.

კაბადოკიელი მამების ცხოვრების მნიშვნელობის ზოგიერთი ასპექტი

კაბადოკიელი მამები მუდმივად ცდილობდნენ, ერთმანეთთან შეეუღლებინათ ლოგოსი და აგაპე. მათი უშრეტი სურვილი იყო, იმ დროის განათლებული ადამიანებისთვისაც ეჩვენებინათ ქრისტიანული რწმენა, დაენახვებინათ მათთვის, რომ რწმენა არ ითხოვდა აზრისა და გონების სიკვდილს, უფრო მეტიც, განადიდებდა ადამიანის გონებას. მათ ყველაზე დიდი წვლილი შეიტანეს სამების დოგმის განმარტებაში, რაც მიღებულ იქნა კონსტანტინოპოლის პირველ კრებაზე (381) და შეერწყა ნიკეა-კონსტანტინოპოლის მრწამსის საბოლოო ვერსიას. ნიკეის პირველი კრების შემდეგ (325), კაბადოკიელები ცდილობდნენ, მართლმადიდებლურ პროცესთან დაეახლოვებინათ ნახევრად არიელები. მათ ნაწერებში უპირატესობა ენიჭებოდა ფორმულას „სამი არსება (იპოსტასი) ერთ არსში (უსია),“ და ამდენად, ისინი არაპირდაპირ აღიარებდნენ მამასა და ძეს შორის განსხვავებას, მაგრამ, ამავე დროს, დაჟინებით უსვამდნენ ხაზს მათ არსებით ერთობას. ამასთანავე, უმაღლესი სიბრძნიდან გამომდინერე, კაბადოკიელი მამების ცხოვრების წესი ორიენტირებული იყო ქველმოქმედებაზე. განსაკუთრებით აღსანიშნავია, რომ მათ მიერ წამოწყებული ბერ-მონაზვნური ცხოვრება განუწყვეტლივ ვითარდებოდა, ისინი იღვწონენ ყველაზე უქონელთა დასახმარებლად; ბასილი იმითაცაა ცნობილი, რომ კესარიაში, ქალაქში, სადაც ეპისკოპოსი იყო, მან გაჭირვებულთა თავშესაფრები დააარსა. ისტორიკოსი სოზომენი ამ საქველმოქმედო ადგილთა ერთიანობას ბასილიადეს, – ლამის გულმოწყალების ქალაქს უწოდებს.

1. ბასილი დიდის მოძღვრება სამების შესახებ

ბასილი ცნობილია, როგორც არიანიზმის განმაქიქებელი, ის გამოდიოდა მათ წინააღმდეგაც, ვინც უარყოფდა სულიწმინდის ღვთაებრიობას. მისი ნააზრევი მოცემულია სულიწმინდის შესახებ ტრაქტატში: ამაზე ერთი შემთხვევა მიგვანიშნებს: „ახლახან, ხალხთან ერთად ლოცვისას, მამა ღმერთის მიმართ დოქსოლოგიას ორგვარად ვამთავრებდი: „ძესთან ერთად, სულიწმიდით“, ხანდახან კი ვამბობდი:„ძის საშუალებით, სულიწმიდაში“. დამსწრეთაგან ზოგიერთმა შენიშნა ეს და დაგვადანაშაულა, რომ უჩვეულო და, ამასთან ერთად, ურთიერთსაწინააღმდეგო ფორმები ვიხმარეთ.“ მეორე ფორმულა, ტრადიციულად, შეიძლება ხმარებული ყოფილიყო სუბორდინაციული მნიშვნელობითაც, პირველი კი, ბასილის მიერ შემოღებული, ორაზროვნების გარეშე, ერთ დონეზე ათავსებდა სამების სამ არსებას და არ იძლეოდა ამგვარი ინტერპრეტაციის საშუალებას: ანუ ეს იყო სულიწმიდის ღვთაებრიობის არაპირდაპირი მტკიცება.

2. სულიწმინდის ღვთაებრიობა და კონსტანტინოპოლის კრება (381)

კონსტანტინოპოლის კრებაზე განისაზღვრა სულიწმიდის ღვთაებრიობის დოგმა, უმნიშვნელო შესწორებით:

„... და (გვწამს) სულიწმიდისა, რომელიც არს უფალი და იძლევა სიცოცხლეს, რომელიც გამოდის მამისგან, და არის ნათაყვანები და ნადიდები მამასთან და ძესთან ერთად, და რომელმაც წინასწარმეტყველთა საშუალებით ილაპარაკა. და ეკლესია კი წმიდა, კათოლიკე და სამოციქულოა. ვაღიარებ მხოლოდ ერთ ნათლობას ცოდვათა მისატევებლად. ველი მიცვალებულთა აღდგომას და საუკუნო ცხოვრებას, რომელიც მოვა. ამინ“. ყურადღება მიაქციეთ კონსტანტინოპოლის მრწამსში ფილიოკვეს არარსებობას. დოქტრინალურ დონეზე იმის მტკიცებას, რომ სულიწმიდა გამოდის მამისაგან და ძისაგან, (როგორც ამას ლათინები აღიარებენ), ან იმისა, რომ სულიწმიდა გამოდის მამისაგან, (როგორც ეს შენარჩუნებულია აღმოსავლეთის ტრადიციაში), სამების სხვადასხვაგვარი ნიშნებით გააზრებასთან მივყავართ. დასავლური გაგება უფრო სტატიკური და ერთიანია, აღმოსავლური კი – უფრო დინამიკური და ყურადღებიანი პიროვნული გასხვავებების მიმართ. ეკლესიის მა-

მები ამ საკითხს უკვე სხვადასხვაგვარად აყენებდნენ: ბიზანტიელმა თეოლოგმა, მაქსიმე მოძღვარმა, რომელიც რომში ცხოვრობდა, ეს გაგება გააანალიზა VII საუკუნეში და გამოავლინა სისწორე როგორც ერთი, ისე მეორე დოქტრინისა, მიუხედავად იმისა, რომ ბერძნულად და ლათინურად ტერმინებს, რომლებიც გამოიყენებოდა სამებაში სულიწმიდის მოქმედების ფორმის გამოსახატავად, განსხვავებული მნიშვნელობა ჰქონდათ. ფაქტობრივად, ეკლესიის მამები, ლათინებიც და ბერძნებიც, ერთმანეთთან სრულ თანაზიარებაში იყვნენ, მიუხედავად სამების ამ განსხვავებული დეტალისა: ანუ განსხვავება არ ითვლებოდა მნიშვნელოვნად სწორი რწმენის აღსარებისთვის.

3. გრიგოლ ნაზიანზელი და მისი ქრისტოლოგიური ნააზრევი

იმ დროს, როდესაც გრიგოლ ნაზიანზელი დათანხმდა, გამხდარიყო კონსტანტინოპოლის არქიეპისკოპოსი, ათწლეულების განმავლობაში ქალაქი არიანობის ბურჯი იყო, როგორც ეს იმპერატორებს კონსტანცოს და ვალენტეს სურდათ, ნიკეის დოგმის დამცველი მორწმუნეთა სამწყსო კი უმცირესობას წარმოადგენდა. გრიგოლის სამების თეოლოგია და ქრისტოლოგია მკაცრი იყო, ზუსტი ფორმულირებებით ჩამოყალიბებული, სადაც ქრისტეს ორბუნებოვნება: ღვთაებრიობა და ადამიანურობა (ადამიანური ბუნება „სრული“ სულით, სხეულით, გონებით, ნებით, თავისუფლებით და სხვა) მტკიცდებოდა; მაგრამ, ორი „არსების“ საწინააღმდეგო უკიდურესობა რომ არ გამოსულიყო, ამასთან ერთად დამტკიცდა ერთარსობაც: ქრისტე არის ერთი არსება (იპოსტასი) სიტყვისა, რომელიც იღებს ადამიანურ ბუნებას და ანიჭებს მას არსებობას. გრიგოლ ნაზიანზელი ტერმინებს ხსნის და თანაც დიდი წინდახედულებით!

4. გრიგოლ ნაზიანზელი - პოეტი

გრიგოლ ნაზიანზელის კიდევ ერთი თავისებურებაა მისი დახვეწილი ჰუმანურობა, რაც მის ავტობიოგრაფიულ, ჰომილიურ ტექსტებსა და ლირიკულ ლექსებში (17 000 სტრიქონი!) იკვეთება. მისი მწერლური ხელოვნება ჭეშმარიტი პოეზიის სიფაქიზეს უტოლდება. ტექსტი ადამიანის საიდუმლოების შესახებ: „და რა საიდუმლო მაკავშირებს ამ სხეულთან? არ ვიცი. და როგორღა ვარ ხატი ღვთისა, თუ ტალახისგან მოვიზილე?.. მიყვარს ის, როგორც ტყვეობის მეგობარი. გავურბივარ მას, როგორც საპყრობილეს. პატივს ვცემ მას, როგორც სამკვიდრო-სამყოფელს. თუ ვეცდები მის დასუსტებას, ვინღა დამეხმარება დიდი გეგმების წამოწყებაში? რადგან ძირითადად მე ვიცი, რაც მიწერია: უნდა ავმაღლდე ღმერთამდე საქმითა ჩემითა... მომხიბვლელი მტერი და ცბიერი მეგობარი! აჰ, რა თანხმობაა და რა უთანხმოება! მიყვარს ჩემი შიშის საგანი და მეშინია ჩემი სიყვარულის საგნისა. ომის ზღურბლზე ჩვენ ვრიგდებით. საკმარისია, დადგეს მშვიდობა და მაშინვე ბრძოლას ვიწყებთ. რა სიბრძნე მმართავს? რა ღრმა საიდუმლო? ჩვენ ნაწილი ვართ ღმერთისა, ჩვენ მოვდივართ მისი ღვთაებრიობიდან: დიდი ღირსება გამედიდურებისა და გაამაყების რისკის წინაშე დაგვაყენებს და შემოქმედს არაფრად ჩაგვაგდებინებს: ამიტომ სურს მას, რომ ჩვენ ყოველთვის ვჭვრეტდეთ მას საკუთარ სხეულთან ჭიდილში; სისუსტე, რომელიც ჩვენთანაა დაკავშირებული, ჩვენს სიამაყეს გამოასწორებს. ამგვარად, თავს ვცნობთ დიდად და, ამავე დროს, საწყლად, მიწიერად და ზეციერად, წარმავალად და უკვდავად, მემკვიდრედ ნათლისა და ცეცხლისა, ან სიბნელისათვის განწირულებად, იმის მიხედვით, თუ რომელ გზას გავყვებით. ეს ნაზავი ჩვენ ვართ: თუ ჩვენ ღვთის ხატად ყოფნის დიდი პატივმოყვარეობიდან გავთავისუფლდებით, ის, რომლის ტალახითაც ვართ მოზელილნი, მიგვიყვანს უფრო დიდ მოკრძალებამდე (...). მე ის დიახაც დავადანაშაულე, რომ ჩემი მტერია იმ არეულობების გამო, რომელთაც ჩემს სულში თესავს, მაგრამ, ყველაფრის მიუხედავად, ძმასავით მიყვარს ის, იმის პატივისცემის გამო, ვინც ჩვენ დაგვაკავშირა... ჩვენ ყველანი ერთნი ვართ უფალში, მდიდრებიც, ღარიბებიც და თავისუფალი, ჯანმრთელი, ავადმყოფი ადამიანებიც. ერთი თავის გარდა, არაფერი სხვა არ არსებობს არავისთვის, ისაა სათავე ყველაფრისა: ქრისტე.“

5. ბერძენი მამების წვლილი ევროპის სულიერ ორიენტაციაში

მრავალი მკვლევარის მოსაზრება ემთხვევა ერთმანეთს იმ საკითხში, რომ ევროპა მემკვიდრე და გამგრძელებელია კლასიკური ბერძნულ-რომაული, ებრაული, ქრისტიანულ-ბიზანტიური და ისლამური ცივილიზაციებისა; ამგვარად, შეგვიძლია

ვთქვათ, რომ თანამედროვე ევროპული ცივილიზაციის ჩამოყალიბებაში წვლილი შეიტანა ბერძნულ-ლათინურმა ცივილიზაციამ და, ამავე დროს, აღმოსავლეთისა და დასავლეთის დიდმა ქრისტიანულმა ტრადიციამ.
ქრისტინობასა და ელინიზმს შორის ეს კულტურული „შერწყმა-შედუღება“ რომ არ მომხდარიყო, ძალიან საეჭვოა, გადარჩებოდა თუ არა ელინისტურ-რომაული კლასიკური ცივილიზაციების წერილობითი ძეგლები; დაბოლოს, იარსებებდნენ თუ არა ბიზანტიური და ევროპული ცივილიზაციები იმ სახით, როგორც ჩვენ მათ დღეს ვიცნობთ. ეს სინთეზი ეხება ანთროპოლოგიას, სამების თეოლოგიას და ქრისტოლოგიურ დოგმას და მათ განშტოებებს. სინთეზი, მაგალითად, როგორც ის გამოხატულია ქრისტოლოგიურ დოგმაში, გადავიდა აგრეთვე პოეტურ და ხელოვნების სხვა დარგებში, განსაკუთრებით მხატვრობასა და ბიზანტიურ იკონოგრაფიაში. ამ მიზეზით შეიძლება მტკიცება, რომ ეკლესიის ქრისტოლოგიური საკითხი ისტორიულად დასრულდა პასუხით, რომელიც გაეცა ხატმებრძოლეობის პრობლემას. ამ პერიოდში წარმოქმნილი თეოლოგიური ლიტერატურა გრანდიოზული იყო, როგორც რაოდენობრივად, ასევე ხარისხობრივად, რისი შედარებაც შეიძლება ბერძნული კლასიკური ლიტერატურის სტილთან და ხარისხთან. ამ პერიოდს სამართლიანად ეწოდა ქრისტიანული ლიტერატურის „ოქროს საუკუნე“. ის ფენომენი, რომელმაც აღმოსავლეთში, IV–V საუკუნეებში გამოიწვია ქრისტიანული ბერძნული ლიტერატურის აყვავება, ჩნდება დასავლეთშიც, ისევე როგორც იმ ქვეყნებში, რომლებიც მდებარეობენ უფრო აღმოსავლეთით. დასავლეთში მთავარი მოქმედი გმირები არიან დიდი ლათინი მამები (IV–V საუკ): იერონიმე, რუფინო, ამბროსი და წმინდა ავგუსტინე, ბერძენი მამების თარგმანები გაკეთდა ლათინი ბერძნების მიერაც, რომლებიც ცხოვრობდნენ დასავლეთში, როგორებიც არიან, მაგალითად, ირინეუსი, იპოლიტე და სხვები. წმინდა ავგუსტინემ არ იცოდა ბერძნული, მაგრამ მან შემოვლითი გზით, თარგმანების საშუალებით გამოიყენა გრიგოლ ნოსელის ნაწარმოებები და ნააზრევი. უფრო აღმოსავლეთით, სირიაში კი თავისი ღირებულებით მწვერვალს მიაღწია ეფრემ ასურისა და სხვა ღვთისმეტყველი მამების ნაშრომებმა. იგივე მოხდა სომხეთში მესროპის შემთხვევაშიც. კაბადოკიელებმა სცადეს, თავიანთი ნააზრევით მიეღწიათ „ტოტალურ ქრისტიანულ ცივილიზაციამდე“. ამ შემთხვევაში გადაჭარბებული არ იქნება საუბარი ერთგვარ „ქრისტიანულ ნეოკლასიციზმზე“, რომელიც უფრო მეტად წმინდად ფორმალური ხასიათისაა. კაბადოკიელების მიერ მიღწეული შედეგების დახმარებით „ქრისტიანობა წარმოგვიდგება, როგორც მემკვიდრე ყველაფრისა, რაც ბერძნულ ტრადიციაში გადარჩენის ღირსი იყო. IV საუკუნეში ხდება ნამდვილი „აღორძინება“, რომელმაც ევროპულ ლიტერატურას მისცა რამდენიმე დიდი პიროვნება, რომლებიც კულტურის ისტორიაში უდიდესი გავლენით სარგებლობენ დღევანდელ დღემდე. ასე, მაგალითად: დასავლეთში ავგუსტინე, ხოლო აღმოსავლეთში – კაბადოკიელი მამები, რომლებმაც სხვადასხვაგვარად შექმნეს ახალი კულტურა.

6. თეოლოგიისა და ფილოსოფიის ურთიერთდამოკიდებულება

პაპი იოანე პავლე II ეპისტოლეში Fides et ratio (1998) მოიხმობს გრიგოლ ნაზიანზელის შემოქმედებას და ასახელებს მას, როგორც მაგალითს იმ „ცირკულარული“ ურთიერთდამოკიდებულებისა, ფილოსოფიურ აზროვნებასა და ღმერთის სიტყვას შორის რომაა დამყარებული, საიდანაც თვით ფილოსოფია გამოდის გამდიდრებული, რადგანაც მისი საშუალებით გონება ახალ ჰორიზონტებს აღმოაჩენს. იგი წერს: „დასტური მსგავსი ურთიერთდამოკიდებულების ნაყოფიერებისა დიდი ქრისტიანი თეოლოგების პირად ქმედებებში აისახება, რომლებმაც სახელი გაითქვეს, როგორც დიდმა ფილოსოფოსებმა, დატოვეს რა ისეთი მაღალი ღირებულების ნაწერები, რომლებზე დაყრდნობითაც გამართლებულია მათი დაყენება ანტიკური ხანის დიდ ფილოსოფოსთა გვერდით. ეს ვრცელდება როგორც ეკლესიის მამებზე, რომელთა შორისაც საჭიროა, მოვიხსენიოთ გრიგოლ ნაზიანზელი და წმინდა ავგუსტინე, ასევე შუა საუკუნეების მასწავლებლებზე, მათ შორის კი გამოირჩევა დიდი ტრიადა: წმ. ანსელმოს წმ. ბონავენტურას და წმ. თომა აქვინელისა“.

7. ბასილი დიდი და ბერმონაზვნური ცხოვრების ორგანიზაცია

ბასილმა მოინახულა ეგვიპტის უდაბნოში, პალესტინაში, სირიასა და მესოპოტამიაში მოღვაწე ბერები, სამშობლოში დაბრუნებულმა კი თავისი სიმდიდრე ღარიბებს დაურიგა და ბერად (განდეგილად) შედგა. მან, მიღებული გამოცდილების მეოხებით, მონასტრული ცხოვრება დაამკვიდრა კაბადოკიაში, და შექმნა წეს-განგება იმ შეკითხვებზე დაყრდნობით, რომელთაც მას ბერები და ასკეტები უსვამდნენ. ბასილი ასკეტურ ბერ-მონაზვნობას ანიჭებდა უპირატესობას, რადგან მიაჩნდა, რომ ამ ფორმით უკეთესად იწვრთნებოდა მოთმინების, მსახურებისა და ურთიერთსიყვარულის სათნოებანი.

კაბადოკიელი მამების შრომებიდან

ბასილი დიდი – „მიმართვა ახალგაზრდებს“

ახალგაზრდების მიმართ ბასილი დიდის მიერ წარმოთქმულ სიტყვაში გაისმის გონივრული თანხმობა ქრისტიანულ რწმენასა და ჰუმანიზმს შორის: „როგორც, სხვათაგან განსხვავებით, რომლებიც ყვავილთა ფერისა და სურნელის ტკბობით იფარგლებიან, მხოლოდ ფუტკრებმა იციან მათგან თაფ-

ლის გაკეთება, ასევე, მხოლოდ ისინი, ვინც ამგვარ ნაწერებში არ ეძიებენ ოდენ გართობასა და სიამოვნებას, შეძლებენ, სულისთვის რაღაც სარგებელი გამოიტანონ მათგან. ანუ ჩვენ ყველაფერში უნდა გამოვიყენოთ წიგნები ფუტკრების მაგალითის მიბაძვით; ისინი ყველა ყვავილზე არ სხდებიან, და არც იმას ცდილობენ, ყველაფერი აიღონ იმ ყვავილთაგან, რომლებზედაც სხდებიან, არამედ მათგან მხოლოდ იმას იღებენ, რაც სჭირდებათ თაფლის დასამზადებლად და ტოვებენ დანარჩენს. და თუ ჩვენ ბრძენნი ვართ, მაშინ იმ ნაწერებიდან იმას ავიღებთ, რაც გვჭირდება, და რაც ჭეშმარიტებას შეესაბამება, ხოლო დანარჩენს თავს დავანებებთ. ვარდის მოკრეფისას ეკლისთვის თავის არიდებას ჰგავს წარმართთა წიგნებიდან იმის შეთვისება, რაც სასარგებლოა და თავის დაცვა იმისგან, რაც მავნებელია. მაშ, უპირველეს ყოვლისა, ჯერ დოქტრინა უნდა გამოიკვლიოთ სიფრთხილით და შემდეგ მოარგოთ ის მიზანს...“.

საღამოს ჰიმნი:
„ახლა ჩვენ შენ გადიდებთ, ო, ჩემო ქრისტე, ღმერთის სიტყვაო, ნათლის ნათელო..., სულის განმათავისუფლებელო. შენ გადიდებთ სამმაგო ნათელო განუყოფელი დიდებისა... შენ გაანათე კაცის გონება და უბოძე მას განსჯის უნარი და სიბრძნე. ყველგანაა მარადიული შუქის ანარეკლი, რათა ადამიანმა სინათლეში აღმოაჩინოს ბრწყინვალება და ყველაფერი გახდეს ნათელი. შენ გაანათე ცა მრავალფეროვანი სხივით. ღამეს და დღეს უბრძანე, მონაცვლეობდნენ ჩხუბის გარეშე, დაუდგინე რა მათ წესად ძმური მეგობრობა. ღამე ზღვარს უდებს ჩვენი სხეულის წვალებას, დღე გვაღვიძებს სამსახურისთვის, საქმეებისთვის, რომლებითაც დაკავებულნი ვართ. მაგრამ ჩვენ გავურბივართ სიბნელეს, მივიჩქარით დღისკენ, სადაც მზე არ ჩადის, რომელსაც არასოდეს ეცოდინება შებინდების სევდა. ნება მიეცი ჩემს ქუთუთოებს, მსუბუქი ძილით ეძინოთ, სანამ ჩემი ხმა ხანგრძლივად არ დამუნჯდება...

გრიგოლ ნაზიანზელი

ინტროსპექტიული ანალიზი:
„გუშინ, ტანჯვით გათანგული, მარტო, სხვებისგან შორს, დაჩრდილულ ტყეში ვიჯექი ჩემთვის და ვიტანჯებოდი. არ ვიცი, რატომ მიყვარს, რომ გავიყურსო ჩემს გულთან ერთად, თითქოს ეს იყოს საშველი ჩემი ტანჯვისა. გრილი ნიავი ბუტბუტებდა და ჩიტების გალობას ერთვოდა, მაღალი ტოტებიდან კი მსუბუქი მოთენთილობა გამოკრთოდა, განსაკუთრებით გატეხილი გულისთვის... ვიტანდი მძიმე ტკივილის ტვირთს, როგორც შემეძლო...“

გრიგოლ ნაზიანზელი

მოწმობა გრიგოლ ნაზიანზელის ბასილთან მეგობრობისა:
„ათენში ვიყავით, სადაც სამშობლოდან გავემგზავრეთ..., როდესაც, დროთა განმავლობაში, ერთმანეთს მორიგეობით ვაცნობდით ჩვენს მიზნებს და დავრწმუნდით, რომ ორივე სიბრძნის სიყვარულს ვეძებდით, მაშინ ჩვენ ერთნეთისთვის გავხდით: ამხანაგები, თანამეინახენი, ძმები. ველოდით ერთსა და იმავე სიკეთეს და ყოველდღიურად უფრო მონდომებით სრულვყოფდით ჩვენს საერთო იდეალს. ორივეს ერთი საზრუნავი გვამოძრავებდა და ეს იყო ცოდნა... ეს ჩვენი შეჯიბრი იყო: ერთმანეთს პირველობაში კი არ ვეჯიბრებოდით, არამედ იმაში, თუ ვინ დაასწრებდა, მეორისთვის პირველობის საშუალება მიეცა. თითქოს ერთი სული გვქონდა ორ სხეულში. თუ სრულებით არ უნდა ვენდოთ მათ, ვინც ამტკიცებს, რომ ყველაფერი ყველაფერშია, ჩვენი ყოყმანისა და ორჭოფობის გარეშე უნდა სჯეროდეთ, რადგან რეალურად ერთი იყო მეორეში და მეორესთან ერთად. საქმე და მისწრაფება ორივესთვის ერთი იყო: სიქველე, ცხოვრება მომავლის იმედით და ისე მოქცევა, თითქოს ამ ქვეყნიდან განდევნილნი ვყოფილიყავით უკვე მანამ, სანამ ამ რეალური ცხოვრებიდან გავიდოდით. ასეთი იყო ჩვენი ოცნება. აი, რატომ წარვმართავდით ჩვენს ცხოვრებასა და ჩვენს საქციელს ღვთაებრივ მცნებათა შესაბამისად, და მორიგეობით ვპოვებდით აღმაფრენას სიქველის სიყვარულში. დაე, ქედმაღლობაში არ ჩამოგვართვან, თუ ვიტყვი, რომ ერთმანეთისთვის წესი და კანონი ვიყავით კეთილის ბოროტისაგან გარჩევაში. და იმ დროს, როცა სხვები თავიანთი მშობლებისგან იღებდნენ ტიტულებს, ან თავად შოულობდნენ მათ ცხოვრების მანძილზე მოღვაწეობით და საქმეებით, ჩვენთვის სასიხარულო რეალობა და დიდი პატივი იყო, რომ ქრისტიანები ვიყავით და ქრისტიანებად მოგვიხსენებდნენ.“

ადამიანის ღირსების შესახებ ცხოვრებაში:
„დავალება გაქვს, სულო ჩემო,/ დიდი დავალებაც, თუ გინდა./ გამოიძიე საკუთარი თავი სერიოზულად,/ შენი არსება, შენი ხვედრი;/ საიდან მოდიხარ და სად უნდა განისვენო;/ შეეცადე, შეიცნო, ჰქვია თუ არა ცხოვრება იმას, როგორც შენ ცხოვრობ,/ თუ არსებობს კიდევ რაღაც უფრო მეტი./ დავალება გაქვს, სულო ჩემო,/ განწმინდე ამიტომაც ცხოვრება შენი:/ პატივი ეცი, გთხოვ, ღმერთს და მის საიდუმლოებას,/ გამოიძიე, რა იყო ამ სამყარომდე/ და რა არის იგი შენთვის,/ საიდან მოვიდა და რა იქნება მისი ხვედრი./ აი, შენი დავალება,/ სულო ჩემო,/ ამიტომაც განწმინდე ცხოვრება შენი“.

(/ისტორიული/ ლექსები, 2, 1, 78)
გრიგოლ ნაზიანზელი

ამავე თემაზე ასე ჩამოაყალიბა თავისი ნააზრევი გრიგოლ ნოსელმა: „არც ცა, არც მთვარე, არც მზე, არც ვარსკვლავთა მშვენება, და არც რაიმე სხვა, რაც შესაქმეში ჩნდება, არ შექმნილა ხატად ღვთისად. მხოლოდ შენ, /ადამიანურო სულო,/ იქენი შექმნილი ხატად ბუნებისად, რომელიც ყოველგვარ

გონებას, უხრწნადი სილამაზის მსგავსებას აღემატება, აღბეჭდილი ჭეშმარიტი ღვთაებრიობით, კერა ნეტარი ცხოვრებისა, სახე ჭეშმარიტი ნათლისა, რომლის ყურებისასაც შენ თავად ხდები ის, ვინც ისაა, რადგანაც არეკლილი სხივის წყალობით, რომელიც შენი უმანკოებიდან მოდის, შენ ბაძავ მას, რომელიც შენში ბრწყინავს. არაფერი არსებული არ შეიძლება გაუტოლდეს შენს სიდიადეს“. მაგრამ ადამიანი თავის მოწოდებას ახორციელებს არა საკუთარ თავში ჩაკარგვით, არამედ ღმრთისადმი მიმართვით: „თუ ყურადღებიანი და გულმოდგინე ცხოვრების წესით განბან შენს გულზე დალექილ უწმინდურობებს, ღვთაებრივი მშვენიერება გაბრწყინდება შენში... შენი თავის ჭვრეტისას, დაინახავ მას, ვინც შენი გულის სურვილია და იქნები ნეტარი“. სულისთვის მართლაც „მნიშვნელოვანია არა ის, რომ შეიტყოს რაიმე ღმერთისა, არამედ ის, რომ საკუთარ თავში ჰყავდეს ღმერთი.“

მამათა აქტუალურობა: ორი მოწმობა

1. კათოლიკური აღზრდის კონგრეგაციის დოკუმენტიდან (Inscriptis dierum. 1989):
მამები „... არიან ეკლესიის სტაბილური სტრუქტურა და ყველა საუკუნის ეკლესიაში მარადიული ფუნქცია აკისრიათ. ასე რომ თუ მას სურს, ყოველი განაცხადი და მომდევნო სწავლება ღირებული იყოს, შედარებულ უნდა იქნეს მათ განაცხადსა და მათ სწავლებასთან, ყოველი ღვთაბრივი ძღვენი და მოვალეობა მათი მამობრიობის სიცოცხლისუნარიანი წყაროდან უნდა იკვებებოდეს და შენობისთვის დამატებული ყოველი ახალი ქვა... უკვე მათ მიერ ჩაყრილ საძირკველს უნდა მიუდგეს, შეედუღაბოს და შეუერთდეს“.

2. ცნობილი ინგლისელი თეოლოგისა და ფილოსოფოსის ჯ. ჰ. ნიუმენის (1801-1890) შეხვედრა მამებთან, „ეკლესიის პირველ სხივებთან“, – როგორც ის მათ უწოდებს, – განსაკუთრებული ფორმით მოხდა, სახელგანთქმულ ხმელთაშუაზღვისპირეთში მოგზაურობის დროს (1832-33), რომლითაც იგი მოხიბლული დარჩა. 1832 წლის 19 დეკემბერს იგი დედას სწერდა, რომ ეს წყლები მას ახსენებდნენ ათანასეს, რომელმაც ის გადაკვეთა: – „აქ დიდმა ათანასემ იმოგზაურა რომისკენ“, – და ბერძენი მამების, განსაკუთრებით კი „მისი კაბადოკიელების“, მიწასთან აახლოებდნენ. აქ კი მათი ხსოვნა გარდაიქმნება პოეზიად.
არანაკლებ პოეტური შთაგონებითაა დაწერილი ოქროპირის შესახებ ერთი პროზაული ნაწყვეტი, სადაც ეკლესიის ოთხი მასწავლებელი წელიწადის ოთხ დროსთანაა შედარებული: (ბასილი) ჩამოჰგავდა მშვიდ, წყნარ, თავშეკავებულ შემოდგომის დღეს; წმიდა იოანე ოქროპირი კი გაზაფხულის დღე იყო, ნათელი და წვიმიანი, წვიმის შხეფებში მბრწყინავი; გრიგოლი იყო შუა ზაფხული, სასიამოვნო სიმშვიდის დიდი შესვენებით, მისი მონოტონურობა ჭექა-ქუხილით წყდებოდა; წმიდა ათანასე კი მკაცრი და შეუვალი ზამთრის სახით წარმოგვიდგება, თავისი მოძალადე ქარებით, მოუვლელი მიწებით, დიდი დედის ძილით, და ცაში კი მანათობელი ვარსკვლავებით“.
ნიუმენში ნელ-ნელა იმის დრამატულად გააზრება ხდებოდა, რომ ანტიკური, პატრისტიკული და კრების ორთოდოქსალურობა რომის ეკლესიაში გრძელდებოდა, და სინდისი მას თანმიმდევრული გადაწყვეტილების მიღებას ავალებდა: „წმინდა ამბროსი და წმინდა ათანასე მოულოდნელად რომ გაცოცხლებულიყვნენ, ეჭვი არაა, რომელ რწმენას აღიარებდნენ თავისად“. „მამებმა მე კათოლიკედ მაქციეს და არ ვაპირებ, მიწას დავანარცხო კიბე, რომლითაც ავედი მაღლა, ეკლესიაში რომ შევსულიყავი“. „კარგად მახსოვს, – წერს ნიუმენი, – როგორი სიხარულით ვკოცნიდი წმინდა ათანასესა და წმინდა ბასილის ტომებს, როდესაც ბოლოს და ბოლოს ვეზიარე კათოლიკობას, იმის შეგნებით, რომ მასში ვიპოვიდი



იმაზე მეტს, რაც დავკარგე, და როგორ ვუთხარი ამ უსულო ფურცლებს, თითქოს იმ დიდებულ წმინდანებს ველაპარაკებოდი პირდაპირ, რომლებმაც ისინი მემკვიდრეობად დაუტოვეს ეკლესიას: „ახლა, ყოველგვარი შეცდომის შესაძლებლობის გარეშე, თქვენ ჩემი ხართ და მე – თქვენი.“ ისინი იყვნენ „მისი მოქცევისა და მისი შინაგანი ცხოვრების წყარონი“, მათ უმღერა თავის საუკეთესო ლირიკულ ლექსებში, მზრუნველი მოწიწებით აგროვებდა მათ დახვეწილ გამოცემებს თავის ბიბლიოთეკაში, მათთან ერთად რომ ყოფილიყო, ხანგრძლივად და დიდი ენთუზიაზმით შეისწავლიდა მათ: არ ეეჭვებოდა, რომ ისინი მას მარადიულობის ზღურბლთან შეეგებებოდნენ. მამათა ისტორია გარკვეულწილად გახდა ნიუმენის ისტორია, მაგრამ შეიძლება ჩვენიც გახდეს.

მამა
გაბრიელე ბრაგანტინი

წყალი - სასიცოცხლო აუცილებლობა

„საქართველოს კარიტასის" პროექტი

ვალე

არალი

ეშტია

ტშრცხი